

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

როგორ მოვემზადოთ

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

თბილისი 2014

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ჯგუფი

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ „საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

შესავალი

პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის ტესტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის სტანდარტს. ტესტის საშუალებით ფასდება საგნის სწავლებისათვის სტანდარტით გათვალისწინებული მასალის ცოდნა, მასწავლებლის მიერ პრაქტიკული უნარების გამოყენება, შემოქმედებითი უნარი, საგნის მასწავლებლის მიერ სწავლების მეთოდების ცოდნა და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარი, სწავლების პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი, სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შეფასების მეთოდების გამოყენების უნარი, ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზის საფუძველზე კი ლოგიკური მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების უნარი.

2013 წელს პირველად ჩატარდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდა. გამოცდაში მონაწილეობა მიიღო 425-მა პედაგოგმა, მათ შორის, 276-მა გამსვლელი ქულა მოიპოვა, რაც საერთო რაოდენობის თითქმის 35%-ია. იმისათვის, რომ მასწავლებლებს დახმარება გავუწიოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის მომზადების პროცესში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გთავაზობთ კრებულს - „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“. კრებულში მოცემულია ინფორმაცია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის შესახებ: მასწავლებლის სტანდარტი (დანართი I), საგამოცდო პროგრამა (დანართი II), 2014 წლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გამოყენებული ტესტი, განხილულია ტესტური დავალებები, წარმოდგენილია შეფასების კრიტერიუმები და პრინციპები. სანიმუშო მასალად გამოყენებულია აპლიკანტთა პასუხები, რომელთაც თან ერთვის განმარტებები და რეკომენდაციები. მოცემულია ტიპური შეცდომების ჩამონათვალი, რაც მთლიანობაში დაგეხმარებათ, გაიაზროთ ტესტურ დავალებათა მოთხოვნები.

იმედი გვაქვს, წარმოდგენილი მასალა დაეხმარება სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლებს მოემზადონ სასერტიფიკაციო გამოცდისათვის

გისურვებთ წარმატებას!

შინაარსი

შესავალი.....	3
---------------	---

I თავი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

1. ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება.....	6
2. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი.....	9

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები, შეფასების სქემები და პრინციპები, განმარტებები, რეკომენდაციები

1. დახურული კითხვები.....	30
2. დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“	32
3. პრაქტიკული დავალება.....	35
3. ქრონოლოგიის განსაზღვრა.....	38
4. შესაბამისობის დავალებები.....	40
5. ღია კითხვები.....	41

დანართი I

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.....	64
---	----

დანართი II

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა

სახვით და გამოყენებითი ხელოვნებაში	70
--	----

I თავი

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

2014 წელს გამოყენებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტი

1. ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება

ტესტი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. **საგნობრივი კომპეტენციის ნაწილი**, რომელიც ამოწმებს: ა) საგნობრივ ცოდნას; ბ) ცოდნის გამოყენების უნარს; გ) ხელოვნების ნიმუშის ანალიზის უნარს.
2. **მეთოდური ნაწილი**, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ ფლობს პედაგოგი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდებს.

ქვემოთ მოცემულია საგამოცდო ტესტის სტრუქტურა და ქულათა განაწილება დავალებების მიხედვით.

რას ვაფასებთ	დავალების ინსტრუქცია	საკითხი	ქულა	ქულათა მაქსიმუმი
საგნობრივი კომპეტენცია 70%				
1. ცოდნა 20%				
ქართული ხელოვნება; მსოფლიო ხელოვნება; ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები; ტერმინები და მხატვრული ენა; სახვითი ხელოვნების	4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი. აღნიშნეთ ჭეშმარიტია თუ მცდარი მოცემული დებულება და მცდარი პასუხის გასწვრივ ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.	15	1	15

ძირითადი ელემენტები და პრინციპები				
2. გამოყენება 26%				
პრაქტიკული უნარები	მოცემული ინსტრუქციის შესაბამისად პრაქტიკული სამუშაოსათვის განკუთვნილ ცალკე ფურცელზე შექმენით კომპოზიცია.	1	5	5
ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენება ნამუშევრის შექმნისას	4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი.	5	1	5
მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები	დაალაგეთ მოცემულობა ქრონოლოგიური პრინციპით (უმცესიდან უახლესისაკენ).	5	1	5
სწავლა-სწავლების პროცესისადმი მასწავლებლის შემოქმედებითი მიდგომის უნარი, ინტერპრეტაციისა და წარმოსახვის უნარები	მოიფიქრეთ და ჩაწერეთ სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად.	2	2	4
ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი 24%	დააკვირდით ხელოვნების ნიმუშს, გაიაზრეთ მითითებების მიხედვით.	1		15
ჯამური ქულა საგნობრივი კომპეტენციის ნაწილისათვის				49 ქულა
მეთოდика 30%				
ღია დავალებები				
გაკვეთილის დაგეგმვა	მოცემული საგაკვეთილო თემის შესაბამისად დაგეგმეთ გაკვეთილი.	1		5
მოსწავლის ნამუშევრის შეფასება	მოიფიქრეთ და ჩაწერეთ განმავითარებელი შეფასების ნიმუში დავალებაში მოცემული მოსწავლის პრაქტიკული ნამუშევრისათვის.	1	4	4

მიზანი-აქტივობა	შეარჩიეთ და აღწერეთ აქტივობა, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოცემული მიზნის მიღწევაში და დაასაბუთეთ მისი მართებულობა.	1	2	2
დახურული დავალებები				
შესაბამისობის განსაზღვრა	შეუსაბამეთ ერთ სვეტში მოცემული საგაკვეთილო მიზნები მეორე სვეტში მოცემულ სასწავლო აქტივობებს.	2	3	6
არჩევითბოლოიანი დავალება	4 სავარაუდო პასუხიდან შემოხაზეთ 1 სწორი პასუხი.	4	1	4
ჯამური ქულა მეთოდური ნაწილისათვის				21 ქულა
საკითხების ჯამური რაოდენობა				38
მაქსიმალური ქულა მთელი ტესტისათვის				70 ქულა

პასუხები პედაგოგმა უნდა გადაიტანოს პასუხების ფურცელზე. სწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი. ტესტის ხანგრძლივობა შეადგენს 5 საათს.

მინიმალური ზღვარი

ტესტის წარმატებით ჩასაბარებლად აუცილებელია, რომ კანდიდატმა გადალახოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%, ანუ კანდიდატმა უნდა დააგროვოს ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ს +1 ქულა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტის მაქსიმალურ ქულაა 70 შესაბამისად, გამსვლელი ქულაა 43 ქულა ან მეტი.

2014 წლის საგამოცდო ტესტი

I – საგნობრივი კომპეტენცია

1-15 დავალების ინსტრუქცია - თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით.

1. რომელი ქვეყნის ან/და ეპოქის თუ სახის ხელოვნებამ მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა იმპრესიონიზმის განვითარებაზე?

- ა. ჩინეთის;
- ბ. იაპონიის;
- გ. ხალხურმა ხელოვნებამ;
- დ. რენესანსის ხელოვნებამ.

2. ანტაბლემენტი არის

- ა. ტაძრის ორქანობა გადახურვა;
- ბ. ტაძრის საფეხურებიანი პოსტამენტი;
- გ. კაპიტელსა და კარნიზს შორის არქიტექტურული მასა;
- დ. სვეტის დეკორატიული თავი.

3. ქართულ ქრისტიანულ არქიტექტურაში ტრიკონქის ტიპის ძეგლია:

- ა. ბაგრატი;
- ბ. ატენის სიონი;
- გ. სამთავრო;
- დ. ნიკორწმინდა.

4. ქართული შუასაუკუნეების რომელი ქრისტიანული ტაძრის მოზაიკურ მხატვრობაში შეინიშნება ბიზანტიური ხელოვნების გავლენა?

- ა. ბიჭვინთა;
- ბ. წრომი;
- გ. გელათი;
- დ. ყველა ზემოჩამოთვლილი.

5. რომელ მხატვრულ მიმდინარეობაზე მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა ვან გოგის შემოქმედებამ?

- ა. ექსპრესიონიზმი;
- ბ. იმპრესიონიზმი;
- გ. პუანტილიზმი;
- დ. კუბიზმი.



6. რომელი განმარტება შეესაბამება სურათზე მოცემული ნიმუშის აღწერილობას ?

- ა. სიმეტრიულად აგებული ფიგურული კომპოზიცია ოსტატურად ერწყმის ლარნაკის ფორმას და კომპოზიციური წყობის ჰარმონიული ხასიათით გამოირჩევა;
- ბ. ლარნაკი, რომლის ზედაპირზე ოსტატურადაა განაწილებული წითელფიგურიანი, რელიეფური კომპოზიცია, წითელფიგურიანი კერამიკის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს;
- გ. ფიგურული და გეომეტრიული გამოსახულებების ხალიჩისებური წყობა ლარნაკის მორთულობას აღმოსავლურ ხასიათს სძენს;
- დ. შუქისა და ჩრდილის მკვეთრი მონაცვლეობით ლარნაკის ზედაპირზე ფიგურები მოცულობით ფორმას იძენენ, რაც სივრცის ილუზიის შექმნას ემსახურება.



7. რომელი ტაძრის აღმოსავლეთი ფასადის დეკორატიული გაფორმების სისტემა გახდა შუასაუკუნეების ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის რიგი ძეგლების აღმოსავლეთი ფასადის შემკულობის ნიმუში?

- ა. გელათი;
- ბ. სამთავისი;
- გ. სამთავრო;
- დ. ნიკორწმინდა.



8. რომელ მხატვრულ მიმდინარეობაზე მოახდინა გავლენა პოლ გოგენის სურათების ფერადოვანი გადაწყვეტის თავისებურებამ?

- ა. იმპრესიონიზმი;
- ბ. კუბიზმი;
- გ. ფოვიზმი;
- დ. პუანტილიზმი.



9. ელინისტური კულტურის ძირითადი ცენტრებია

- ა. ფლორენცია, ვენეცია, სიენა, უმბრია, პადუა, ბოლონია, ფერარა;
- ბ. პერგამოსი, მილეტი, როდოსი, ანტიოქია, ალექსანდრია, ათენი;
- გ. ური, აქადი, ბაბილონი, დურ-შარუკინი, პერსეპოლისი;
- დ. მემფისი, საისი, თებე, ლუქსორი, ახეტატუნი, ტანისი.

10. უმეტესად რომელ ევროპულ ქვეყანასთან ასოცირდება ექსპრესიონიზმი?

- ა. ჰოლანდია;
- ბ. საფრანგეთი;
- გ. იტალია;
- დ. გერმანია.

11. სასურველი ფორმის მარტივი გამოსახულების გამოჭრისა და დაწებების მხატვრული ტექნიკა არის:

- ა. ინკრუსტაცია;
- ბ. დეკუპაჟი;
- გ. ორიგამი;
- დ. ყველა ზემოჩამოთვლილი.

12. რომელი მხატვრული ხერხი არ არის დამახასიათებელი იმპრესიონისტული ფერწერისათვის?

ა. კონტრასტული ფერების შერევით შექმნილი ჩრდილები;

ბ. თავისუფალი და ენერგიული ფუნჯის მონასმები;

გ. შავისა და ყავისფრის შერევით შექმნილი ჩრდილები;

დ. ფერები, რომლებიც შორიდან დათვალიერებისას ერთმანეთს შერევა;



13. რისი საშუალებით ქმნიან მხატვრები მოცულობით ფორმას სიბრტყეზე?

ა. ფორმათა უტრირება;

ბ. შუქ-ჩრდილის მონაცვლეობა;

გ. პლანების გამოყენება;

დ. ლოკალური ფერადოვანი ლაქები.

14. რომელი მხატვრული მიმდინარეობისათვის არის დამახასიათებელი გეომეტრიული - სწორი, კუთხოვანი ფორმების უარყოფა და ხელოვნების ნიმუშების შექმნისას მცენარეული მოტივებისა და მრუდი და წრიული ფორმების გამოყენება?

ა. ბაროკო;

ბ. იმპრესიონიზმი;

გ. რომანტიზმი;

დ. არ-ნუვო.

15. რომელ სახვით საშუალებას არ იყენებდნენ ფოვისტი მხატვრები?

ა. მარტივი კონტურული ნახატი;

ბ. მკვეთრი ფერები;

გ. წერის დეკორატიული, ლაკონური მანერა;

დ. დეტალების ზედმიწევნით დამუშავება.



16-20 დავალება. „ჭეშმარიტია-მცდარია“

დავალების ინსტრუქცია – ყურადღებით გაეცანით მოცემულ დებულებებს - თუ მიიჩნევთ, რომ დებულება ჭეშმარიტია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგეთხოვებათ. თუ მიიჩნევთ, რომ დებულება მცდარია, მონიშნეთ შესაბამისი უჯრა და საგანგებოდ გამოყოფილ არეში ჩაწერეთ სწორი ფორმულირება.

შენიშვნა: თუ ფიქრობთ, რომ ფორმულირება მცდარია და თვლით, რომ მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი დატოვეთ და იმავე განმარტებისათვის მოძებნეთ და მიუსადაგეთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა.

16. წითელი და ლურჯი საღებავის შერევით მიიღება რუხი ფერი

ჭეშმარიტია ☐

მცდარია ☐



17. ენკაუსტიკის ტექნიკით გამოსახულების შესაქმნელად ცვილოვანი საღებავი გამოიყენება.

ჭეშმარიტია ☐

მცდარია ☐



18. კომპოზიციური მთლიანობა არის ტერმინი სახვით ხელოვნებაში, რომელიც მხატვრული ნაწარმოების შემადგენელი ნაწილების განლაგებას და ურთიერთშეფარდებას გამოხატავს.

ჭეშმარიტია ☐

მცდარია ☐



19. გრაფიკაში ფორმათა მოდელირების მხატვრული საშუალება წონასწორობაა.

ჭეშმარიტია ☐

მცდარია ☐



20. ფერი ქანდაკების ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა.

ჭეშმარიტია ☐

მცდარია ☐



დავალება 21. პრაქტიკული სამუშაო

ინსტრუქცია - პრაქტიკული დავალებისათვის განკუთვნილ ფურცელზე გამოსახეთ გამოყენებითი ხელოვნების ნებისმიერი სახის ნიმუშის ესკიზი და გეომეტრიული და მცენარეული მოტივის საშუალებით შექმნილი ორნამენტული ნახატით გააფორმეთ გამოსახულება. კომპოზიციური განაწილების პრინციპის გათვალისწინებით გამოსახულება შესაბამისად განათავსეთ სასურათე სიბრტყეზე.

22-26 ქრონოლოგიის განსაზღვრა.

დავალების ინსტრუქცია – დაალაგეთ (უძველესიდან უახლესისაკენ) მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. გაითვალისწინეთ, რომ ცხრილში იწერება მხოლოდ შერჩეული ერთეულის შესაბამისი ასო.

22. დაალაგეთ ადრეული შუასაუკუნეების ქართული ტეტრაკონქის ტიპის ტაძრები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით

- ა. მცხეთის ჯვარი;
- ბ. ძველი გავაზი;
- გ. ატენის სიონი;
- დ. ნინოწმინდა.

1	2	3	4

23. წარმოდგენილი ფერწერული ნიმუშები დაალაგეთ მათი შექმნის დროის მიხედვით

ა.



ბ.



გ.



დ.



1	2	3	4

24. ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დაალაგეთ მხატვრული მიმდინარეობები

- ა. იმპრესიონიზმი;
 ბ. პოპ-არტი;
 გ. ნეოკლასიციზმი;
 დ. არ-ნუვო.

1	2	3	4

25. დაალაგეთ წარმოდგენილი მხატვრობის ნიმუშები მათი შექმნის დროის მიხედვით

ა.



ბ.



გ.



დ.



1	2	3	4

26. დაალაგეთ წარმოდგენილი ქართული შუასაუკუნეების ქრისტიანული ტაძრები მათი შექმნის დროის მიხედვით

ა.



ბ.



გ.



დ.



1	2	3	4

II – მეტოლოგია

27-30 დავალების ინსტრუქცია – თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორი პასუხის შესაბამისი უჯრა მონიშნეთ X ნიშნით.

27. თქვენი მიზანია, მოსწავლეებს დამოუკიდებელი აზროვნება განუვითაროთ.

რესურსის სახით გაკვეთილზე იყენებთ ედვარდ მუნკის ცნობილ კომპოზიციას „მზე“ (1911-1916), რომელიც ნორვეგიის უნივერსიტეტის კედლის მხატვრობის ფრაგმენტია.

ჩამონათვალში მოცემული დავალებებიდან რომელს გამოიყენებდით მიზნის მისაღწევად?



- ა. აღწრეთ და დაახასიათეთ მოცემული კომპოზიცია;
- ბ. მოიფიქრეთ ორიგინალური სათაური კომპოზიციისათვის;
- გ. დაადგინეთ სურათის შექმნის თარიღი;
- დ. დაადგინეთ მოცემული ნამუშევრის მასალა და ტექნიკა.

28. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ირჩევს პროექტის თემას – „ძველი ჩინეთის ხელოვნება“. პროექტზე მუშაობის პირველ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა განსაზღვრონ ხელოვნების რომელი დარგები განვითარდა ძველ ჩინეთში და ისე გაინაწილონ სამუშაო, რომ თითოეულმა მათგანმა ხელოვნების მხოლოდ ერთი დარგის ნიმუშები მოიძიოს, მოძიებული მასალა ჩინეთის ხელოვნების განვითარების ეტაპების შესაბამისად დაალაგოს და მონაცემები წარმოადგინოს ცხრილის სახით.

რომელი უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მიცემული დავალება?

- ა. ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ბ. კრიტიკული აზროვნების უნარი;
- გ. შემოქმედებითი უნარი;
- დ. ინფორმაციის მოპოვებისა და ორგანიზების უნარი.

29. პედაგოგის მიზანია მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების უნარი განუვითაროს; რომელი აქტივობა შეესაბამება ყველაზე მეტად დასახულ მიზანს?

- ა. მხატვარზე ინფორმაციის მოძიება;
- ბ. სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებების შედარება;
- გ. მხატვრულ მიმდინარეობაზე ინფორმაციის მოძიება;
- დ. მოცემული კომპოზიციის ასლის შექმნა.

30. რომელი უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მიცემული შემდეგი დავალება?

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ორ ნამუშევარს – დიეგო ველასკესის „მენინებს“ და ამ სურათის პაბლო პიკასოსეულ ინტერპრეტაციას. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გამართონ დისკუსია წარმოდგენილი ნამუშევრების გარშემო – კომპარატიული მეთოდის საფუძველზე განსაზღვრონ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება თითოეული სურათისადმი და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები.

- ა. ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ბ. ექსპერიმენტების ჩატარების უნარი;
- გ. ინფორმაციის მოპოვება-ორგანიზების უნარი;
- დ. პრაქტიკული უნარი.

31-32 დავალება. შესაბამისობის დადგენა

დავალების ინსტრუქცია - შეუსაბამეთ A სვეტში მოცემული საგაკვეთილო მიზნები B სვეტში მოცემულ სასწავლო აქტივობებს.

დავალება 31.

საგაკვეთილო მიზნები (A)	სასწავლო აქტივობები(B)
1) მოსწავლემ მიზანმიმართულად შეარჩიოს და შემოქმედებითად გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტები ნამუშევრის შექმნისას. 2) მოსწავლემ გააცნობიეროს სამყარო, როგორც მრავალფეროვანი გრძნობებისა და იდეების წყარო და შემოქმედებითად ასახოს ნამუშევარში. 3) მოსწავლემ გამოიყენოს სახვითი ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების ცოდნა ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის ანალიზისას.	ა) მოსწავლეებმა ნამუშევრის შექმნისას მძაფრი ემოციების გადმოსაცემად და ფერის ჟღერადობის გასაძლიერებლად გამოიყენონ კონტრასტული ფერები.
	ბ) ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულების წარმოსაჩენად გააანალიზონ ის, დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრება, დასკვნები წარმოადგინონ წერილობითი სახით.
	გ) შესასრულებელი სამუშაოსათვის შეარჩიონ და მოიძიონ მატერიალური რესურსები.
	დ) დისკუსია თემაზე: თანამედროვე საკომუნიკაციო და ტექნიკური საშუალებების გავლენა ხელოვნების როლზე საზოგადოების ცხოვრებაში.
	ე) ბუნებაზე დაკვირვების შედეგად შექმნან პეიზაჟი (სეზონის გათვალისწინებით), და საკუთარი შთაბეჭდილებები და გრძნობები ასახონ საკუთარ ნამუშევარში.

შესაბამისობები ჩაწერეთ მოცემულ ცხრილში.

	ა	ბ	გ	დ	ე
1					
2					
3					

დავალება 32.

საგაკვეთილო მიზნები (A)	სასწავლო აქტივობები(B)
1) მოსწავლემ იმსჯელოს ხელოვნებისა და თანადროული ისტორიული ეპოქის ურთიერთმიმართების საკითხებზე. 2) მოსწავლემ შეადაროს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის ნამუშევრები. 3) მოსწავლემ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის თუ მხატვრული მიმდინარეობის თავისებურებების გათვალისწინებით დაგეგმოს და შეასრულოს სამუშაო.	ა) შეაგროვოს ინფორმაცია მისთვის ნაცნობ ხელოვანზე.
	ბ) კომპარატიული მეთოდის გამოყენებით იმსჯელოს სხვადასხვა პერიოდისა და ქვეყნის ხელოვნების ნიმუშების საერთო და განმასხვავებელ მხატვრულ ნიშნებზე.
	გ) დისკუსია თემაზე, მოახდინა თუ არა გავლენა მიქელანჯელოს შემოქმედებაზე ეპოქის იდეოლოგიამ და საზოგადოების მისწარაფებებმა.
	დ) შექმნას ინტერიერის დიზაინი ეთნოს სტილში.
	ე) შეისწავლოს ქართული გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

შესაბამისობები ჩაწერეთ მოცემულ ცხრილში.

	ა	ბ	გ	დ	ე
1					
2					
3					

დავალება 33. მიზანი-აქტივობა

მასწავლებლის მიზანია, სტილიზებული გამოსახულებების შექმნის საფუძველზე მოსწავლეს შემოქმედებითი უნარი განუვითაროს.

მოიფიქრეთ და ჩაწერეთ შესაბამისი 1 აქტივობა, რომელიც პედაგოგს მოცემული მიზნის მიღწევაში დაეხმარება. დაასაბუთეთ თქვენ მიერ აღწერილი აქტივობის მართებულობა.

 ჩაწერეთ:

აქტივობა

დასაბუთება

დავალება 34. მოსწავლის ნამუშევრის შეფასება

დავალების ინსტრუქცია – ქვემოთ წარმოგიდგენთ მოსწავლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს. ყურადღებით დააკვირდით მას და რჩევის სახით ჩაწერეთ განმავითარებელი შეფასება, რაც დაეხმარება მოსწავლეს, შესწორებები შეიტანოს საკუთარ ნამუშევარში და უკეთეს შედეგს მიაღწიოს.

VII კლასის მოსწავლეებს მასწავლებლის მითითებით გაკვეთილზე პრაქტიკული დავალება უნდა შესრულებინათ - სხვადასხვა მხატვრული ტექნიკის საშუალებით და პერსპექტივის კანონების გათვალისწინებით გამოესახათ ნებისმიერი სახის პეიზაჟი.



 **ჩაწერეთ:**

დავალება 35. სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად

მოიფიქრეთ და ჩაწერეთ სიტუაციური ამოცანა, რომელსაც შესთავაზებთ III კლასის მოსწავლეებს აპლიკაციის ტექნიკისა და ნამუშევარში კონტრასტული ფერების გამოყენების უნარის განსავითარებლად. დაასაბუთეთ თქვენ მიერ შეთავაზებული სიტუაციური ამოცანის შესაბამისობა დავალებაში მოცემულ მიზანთან.

 ჩაწერეთ:

დავალება 36. სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად

მოიფიქრეთ და ჩაწერეთ სიტუაციური ამოცანა, რომელსაც შესთავაზებთ IX კლასის მოსწავლეებს კოლაჟის ტექნიკის გამოყენების უნარის განსავითარებლად და დაასაბუთეთ თქვენ მიერ შეთავაზებული სიტუაციური ამოცანის შესაბამისობა დავალებაში მოცემულ მიზანთან.

 ჩაწერეთ:

დავალება 37. გაკვეთილის დაგეგმვა

დავალების ინსტრუქცია - შემოთავაზებული საგაკვეთილო თემის მიხედვით განსაზღვრეთ და ჩაწერეთ ერთი სასწავლო მიზანი, 2 ან 3 სასწავლო უნარ-ჩვევა, რომელსაც განავითარებთ სასწავლო პროცესის დროს, განსაზღვრეთ, დამატებით რომელი კონკრეტული 2 ან 3 რესურსი (სახელმძღვანელოს, რვეულის, კალმის, დაფის და ცარცის გარდა) დაგეხმარებათ სასწავლო მიზნის ეფექტურად მიღწევაში, დაგეგმეთ უნარ-ჩვევებისა და სასწავლო მიზნის შესაბამისი 2 ან 3 სასწავლო აქტივობა, დროის მონაკვეთის მითითებით და განმარტეთ ერთ-ერთი აქტივობის ეფექტიანობა.

საგაკვეთილო თემა IX კლასისათვის:

ქართული შუასაუკუნეების საკულტო არქიტექტურის თავისებურებები

სასწავლო მიზანი	უნარები	რესურსები	აქტივობები (დროის მონაკვეთის მითითებით და აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთებით)

დავალება 38. ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

ინსტრუქცია: დააკვირდით მოცემულ ხელოვნების ნიმუშს. გაიაზრეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ იგი.



შეასრულეთ დავალება მითითებების მიხედვით:

38.1 აღწერეთ და დაახასიათეთ კომპოზიცია; რა თემაზეა შექმნილი მოცემული კომპოზიცია? მასალისა და ტექნიკის საფუძველზე ამოიცანით სახვითი ხელოვნების რომელი დარგის ნიმუშია წარმოდგენილი;

38.2 გაანალიზეთ და მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა სახვით საშუალებებსა და ხერხებს იყენებს ავტორი სურათზე აზრისა და იდეის გამოსახატად და განწყობილების შესაქმნელად.

38.3 მხატვრულ-სტილური მახასიათებლების საფუძველზე განსაზღვრეთ ნამუშევრის შექმნის დრო. დაადგინეთ, რომელი ქვეყნის ხელოვნების ნიმუშია წარმოდგენილი, დაასახელეთ ავტორი.

38.4 შეაფასეთ ნამუშევარი – გამოხატეთ საკუთარი დამოკიდებულება, იმსჯელეთ და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

38.5 შეაჯერეთ იდეები (იმსჯელეთ გავლენებზე, განიხილეთ ნაწარმოები ისტორიულ-კულტურულ და ა.შ. კონტექსტში), გააკეთეთ შესაბამისი დასკვნები.

II თავი

ტესტურ დავალებათა ტიპები, შეფასების სქემები და პრინციპები,
განმარტებები, რეკომენდაციები

I. დახურული კითხვები

დავალების აღწერა: ამ ტიპის დავალებაში თითოეულ კითხვაზე მოცემულია 4 სავარაუდო პასუხი. მათგან *მხოლოდ ერთია სწორი*. მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

ამ ტიპის დავალებები მოცემულია როგორც საგნობრივი კომპეტენციის ნაწილში, ასევე მეთოდის ნაწილშიც.

მეტი სიცხადისთვის განვიხილავთ დახურული კითხვების რამდენიმე ნიმუშს.

1. დახურული კითხვა ნეგატიური (უარყოფის შემცველი) ფორმულირებით. ამ ტიპის დავალება ტესტში შედარებით იშვიათად გვხვდება. მასზე მუშაობისას არ გამოგრჩეთ კითხვის ნეგატიური ანუ უარყოფის შემცველი ფორმულირება. ის გამუქებულია, ხაზგასმულია და განსხვავებული შრიფტითაა მოცემული.

ნიმუში:

რომელი მხატვრული ხერხი არ არის დამახასიათებელი იმპრესიონისტული ფერწერისათვის?

- ა. კონტრასტული ფერების შერევით შექმნილი ჩრდილები;
- ბ. თავისუფალი და ენერგიული ფუნჯის მონასმები;
- გ. შავისა და ყავისფრის შერევით შექმნილი ჩრდილები;
- დ. ფერები, რომლებიც შორიდან დათვალიერებისას ერთმანეთს შერევა;



2. დახურული კითხვა, რომელშიც აღწერილია მიზანი, ხოლო სავარაუდო პასუხები აქტივობების სახითაა წარმოდგენილი და პირიქით, დახურული კითხვა, რომელშიც აღწერილია აქტივობა, ხოლო სავარაუდო პასუხებად სხვადასხვა მიზანია მოცემული. აპლიკანტმა უნდა გააანალიზოს, თუ რომელი აქტივობა შეუწყობს ხელს დასახული მიზნის მიღწევას, ან პირიქით, რომელი მიზნის მიღწევას ემსახურება პირობაში აღწერილი აქტივობა.

ნიმუში:

რომელი უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს მასწავლებლის მიერ მოსწავლისათვის მიცემული შემდეგი დავალება?

მასწავლებელი მოსწავლეებს წარუდგენს ერთსა და იმავე თემაზე შექმნილ ორ ნამუშევარს – დიეგო ველასკესის „მენინებს“ და ამ სურათის პაბლო პიკასოსეულ ინტერპრეტაციას. იგი სთხოვს მოსწავლეებს, გამართონ დისკუსია წარმოდგენილი ნამუშევრების გარშემო – კომპარატიული მეთოდის საფუძველზე განსაზღვრონ მსგავსი და განმასხვავებელი ნიშნები, გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება თითოეული სურათისადმი და დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები.

- ა. ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- ბ. ექსპერიმენტების ჩატარების უნარი;
- გ. ინფორმაციის მოპოვება-ორგანიზების უნარი;
- დ. პრაქტიკული უნარი.

5. დახურული კითხვა, რომელშიც კითხვის პირობას მეტი სიცხადისათვის და/ან პასუხების სახით წარმოდგენილი ანალიზის გასააზრებლად თან ერთვის ილუსტრაცია.

ნიმუში:

პედაგოგის მიზანია მოსწავლეს ანალიტიკური აზროვნების უნარი განუვითაროს; რომელი აქტივობა შეესაბამება ყველაზე მეტად დასახულ მიზანს?

- ა. მხატვარზე ინფორმაციის მოძიება;
- ბ. სხვადასხვა ეპოქის ნაწარმოებების შედარება;
- გ. მხატვრულ მიმდინარეობაზე ინფორმაციის მოძიება;
- დ. მოცემული კომპოზიციის ასლის შექმნა.

რეკომენდაციები არჩევითი დავალებების შესასრულებლად:

- ✓ პასუხის გაცემამდე ყურადღებით წაიკითხეთ შეკითხვა;
- ✓ დავალებებს უპასუხეთ პირობაში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ მოცემული ყველა სავარაუდო პასუხი, ვიდრე საბოლოო პასუხზე შეჩერდებით. შესაძლოა, სავარაუდო პასუხების ჩამონათვალში იყოს ორი, ერთი შეხედვით, სწორი/მსგავსი ვარიანტი. გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევაში მხოლოდ ერთი პასუხია სწორი. ამდენად, ყურადღება მიაქციეთ პასუხების ვარიანტებში წარმოდგენილ ყველა დეტალს;
- ✓ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ სიტყვებს, რომლებიც გამუქებული ან ხაზგასმულია. მაგ., „**ჩამოთვლილთაგან რომელი „არ არის“**“, „**ყველაზე მეტად**“ და ა. შ.;
- ✓ შეკითხვები, რომლებშიც არის სიტყვები: „**ყველაზე ნაკლებად**“, „**გარდა**“ ან „**არ**“ მიგვითითებს იმაზე, რომ არასწორი (პირობის საწინააღმდეგო) პასუხი უნდა ამოვიცნოთ. ასეთ შეკითხვებში ყველა პასუხი სწორია, გარდა ერთისა.

II. დავალება პასუხით „ჭეშმარიტია-მცდარია“

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია დებულებები ტერმინთა თუ ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების განმარტებები, რომელთაგან ზოგი ჭეშმარიტია და შეესაბამება სინამდვილეს, ხოლო ზოგიერთ ტერმინს კი სრულიად შეუსაბამო განმარტება მოსდევს. თუ დებულება ჭეშმარიტია, ჭეშმარიტის შესაბამისი უჯრა უნდა მოვნიშნოთ X ნიშნით. ასეთ შემთხვევაში კომენტარის გაკეთება არ მოგვეთხოვება. თითოეული სწორად მონიშნული ჭეშმარიტი ფორმულირება ფასდება 1 ქულით. თუ ფორმულირება მცდარია, მცდარის შესაბამისი უჯრა X ნიშნით უნდა მოვნიშნოთ და საგანგებოდ გამოყოფილ არეზე ჩავწეროთ სწორი ფორმულირება. თუ ვთვლით, რომ ფორმულირება მცდარია, ხოლო მტკიცებულებაში მოცემული განმარტება თავისთავად სწორადაა ჩამოყალიბებული, თუმცა მოცემული ტერმინის ან/და სიტყვის ახსნას არ წარმოადგენს, მაშინ განმარტება უცვლელი უნდა დავტოვოთ და იმავე განმარტებისათვის მოვძებნოთ და მივუსადაგოთ შესაბამისი ტერმინი ან/და სიტყვა. თუ აპლიკანტი სწორად მონიშნავს მცდარის უჯრას და მართებულ ფორმულირებას ჩაწერს, დავალება შეფასდება 1 ქულით.

მხოლოდ სწორად მონიშნული მცდარის შესაბამისი უჯრა სწორი ფორმულირების ჩანაწერის გარეშე ფასდება 0 ქულით.

რას ვაფასებთ: ამ დავალებით ფასდება, თუ რამდენად კარგად იცნობს აპლიკანტი სახვით ხელოვნებასთან დაკავშირებულ პროფესიულ ტერმინოლოგიას, ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების თავისებურებებს. დავალება ფასდება 1 ქულით.

ნიმუში 1

20. ფერი ქანდაკების ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა.

ქეშმარიტია ☐

მცდარია ☐



დაფალება 20 ზ ☐ მ ☒

~~ქანდაკების ძირითადი გამომსახველობითი საშუალებაა~~
~~ზაუ მოცულობითი ფორმები~~

განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული აღნიშვნა და განმარტებაც ადეკვატურია. პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

ნიმუში 2

17. ენკაუსტიკის ტექნიკით გამოსახულების შესაქმნელად ცვილოვანი საღებავი გამოიყენება.

ქეშმარიტია ☐

მცდარია ☐



დაფალება 17 ზ ☒ მ ☐

განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული აღნიშვნა. პასუხი „ქეშმარიტია“ განმარტებას არ საჭიროებს. პასუხი შეფასებულია 1 ქულით.

ნიმუში 3

16. წითელი და ლურჯი საღებავის შერევით მიიღება რუხი ფერი

ქეშმარიტია ☐

მცდარია ☐



დავალება 16 ☒ ☐ ☐ ☒

წითელის და რუხის შეხევის მიღება

მწვანე ფეხი

განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული აღნიშვნა, თუმცა მის მიერ ჩაწერილი ფორმულირება მცდარია. პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

ნიმუში 4

19. გრაფიკაში ფორმათა მოდელირების მხატვრული საშუალება წონასწორობაა.

ჭეშმარიტია ☐ მცდარია ☐

 X

დავალება 19 ☒ ☐ ☐ ☒

განმარტება: მოცემულ შემთხვევაში აპლიკანტს სწორად აქვს გაკეთებული აღნიშვნა, თუმცა მისი მცდარი პასუხის სწორი ფორმულირება ჩაწერილი არ არის. პასუხი შეფასებულია 0 ქულით.

რეკომენდაციები „ჭეშმარიტი-მცდარიას“ ტიპის დავალებების შესასრულებლად:

- ✓ საგამოცდო ნამუშევრების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის დავალებების შესრულებისას ძირითადი სირთულე მცდარად მოცემული ფორმულირების სწორად ჩაწერისას შეიქმნა. აპლიკანტმა ყურადღებით უნდა წაიკითხოს პასუხების მონიშვნის ინსტრუქცია და გაითვალისწინოს მოთხოვნა - თუ ფორმულირებას მიიჩნევს მცდარად, ის აუცილებლად ჩაწეროს კორექტული (სწორი) ფორმით.
- ✓ აპლიკანტმა თავი უნდა აარიდოს მოცემული დებულების შებრუნებული ფორმით ჩაწერას. თუ დებულება პოზიტიური ფორმითაა ჩაწერილი (მაგ., გრაფიკაში ფორმათა მოდელირების მხატვრული საშუალება წონასწორობაა.), მას უარყოფითი ფორმის წინადადებად ნუ გადააქცევთ (მაგ., გრაფიკაში ფორმათა მოდელირების მხატვრული საშუალება წონასწორობა არ არის). ასეთი პასუხი სწორ პასუხად არ მიიჩნევა.

III. დავალება 21. პრაქტიკული სამუშაო


რას ვაფასებთ: მოცემული დავალება საშუალებას იძლევა, დადგინდეს აპლიკანტის მიერ მხატვრული ელემენტებისა და პროცედურების პრაქტიკაში გამოყენების საბაზისო უნარი. ეს დავალება დაგვეხმარება გავარკვიოთ, რამდენად შეძლებს პედაგოგი სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი და მისცეს სასარგებლო რჩევები. ამ ტიპის დავალება შესრულდება ცალკე A4 ზომის ფურცელზე, რომელიც აპლიკანტს პასუხების ფურცელთან ერთად გადაეცემა. აპლიკანტი ასევე უზრუნველყოფილი იქნება მოცემული დავალების შესაბამისი პრაქტიკული სამუშაოსათვის აუცილებელი რესურსით (მაგ., ფანქარი, საშლელი და ა. შ.). ამ ტიპის დავალების მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 5 ქულით.

ნახატის შეფასების სქემა:

შეფასების სქემა			
შეფასების კრიტერიუმები	0 ქულა	1 ქულა	2 ქულა
I. საკითხის გააზრება	დავალება არ არის ადეკვატურად გაგებული - ვერ გამოსახავს გამოყენებითი ხელოვნების ვერც ერთ ნიმუშს და ორნამენტის ვერც ერთ სახეობას.	გამოსახავს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშს და ერთ-ერთი სახეობის ორნამენტს მაინც.	ქმნის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის გამოსახულებას და იყენებს ორივე სახის ორნამენტს.
II. მასალის, ტექნიკის და მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ფლობა, შემოქმედებითობა		ქმნის მოცემულობის შესაბამის სქემატურ გამოსახულებას.	მოცემულობის შესაბამისი გამოსახულების შესაქმნელად იყენებს სხვადასხვა სახით ხერხებს - მეტყველ ხაზს, შუქ-ჩრდილს, დახვეწილ ფორმას და ა. შ.
III. კომპოზიციური განაწილება	გამოსახულება სასურათე სიბრტყეზე არასიმეტრიულადაა განთავსებული.	გამოსახულება კომპოზიციური განაწილების პრინციპებს შეესაბამება.	


ჯამური ქულა - 5

ნიმუში 1



განმარტება: ნამუშევარი შეფასებულია 5 ქულით. მოცემული ნამუშევარი სავსებით შეესაბამება დავალების პირობის მოთხოვნებს.

ნიმუში 2



განმარტება: ნამუშევარი შეფასებულია 4 ქულით. ნამუშევარი დავალების პირობის მოთხოვნების შესაბამისადაა შესრულებული, თუმცა ოსტატურად არ არის გამოყენებული სახვითი ხერხები (გამოსახულების გაშლა სასურათე სიბრტყეზე - წინა მხარე ვიწრო და უკანა განიერი. სინამდვილეში უნდა იყოს პირიქით.).

ნიმუში 3




განმარტება: ნამუშევარი შეფასებულია 3 ქულით. მოცემული ნამუშევარი გვიჩვენებს, რომ აპლიკანტი ქმნის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის გამოსახულებას, ესმის და ადეკვატურად იყენებს კომპოზიციური განაწილების პრინციპებს, მოცულობას სძენს გამოსახულებას. თუმცა დავალების პირობის მოცემულობა - გამოსახოს ორი სახის (გეომეტრიული და მცენარეული) ორნამენტი, ნამუშევარში ასახული არ არის.

ნიმუში 4



განმარტება: ნამუშევარი შეფასებულია 2 ქულით. მოცემულ ნამუშევარში აპლიკანტი ქმნის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის კონტურულ გამოსახულებას. გამოსახავს ერთი სახის ორნამენტს. სხვა მოთხოვნებს მოცემული ნამუშევარი ვერ აკმაყოფილებს.

ნიმუში 5



განმარტება: მოცემული ნამუშევარი შეფასებულია 1 ქულით. აღნიშნული 1 ქულა აპლიკანტმა გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის გამოსახვისათვის დაიმსახურა. დავალების პირობის მოთხოვნებს ნამუშევარი არ აკმაყოფილებს.

ნიმუში 6



განმარტება: მოცემული ნამუშევარი შეფასებულია 0 ქულით. დავალება არ არის ადეკვატურად გაგებული, დავალების პირობის მოთხოვნებს ნამუშევარი არ აკმაყოფილებს.

IV. დავალება 22-26. ქრონოლოგიის განსაზღვრა

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (მხატვრული მიმდინარეობები, მხატვრები, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები და სხვ.) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით (უძველესიდან უახლესისაკენ). მოცემული ტესტური დავალება ამოწმებს მასალის ფაქტობრივ ცოდნასა და მისი გამოყენების უნარს. დავალება 1 ქულით ფასდება.

მეტი სიცხადისათვის განვიხილავთ ტესტში მოცემულ ერთ-ერთ დავალებას:

დაალაგეთ წარმოდგენილი ქართული შუასაუკუნეების ქრისტიანული ტაძრები მათი შექმნის დროის მიხედვით

ა.



ბ.



გ.



დ.



განმარტება: ქართული არქიტექტურის მოცემული ნიმუშები ხელოვნების ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზეა აგებული. მათი მიკუთვნება გარკვეული პერიოდისათვის მხატვრული თავისებურებების საშუალებითაა შესაძლებელი. მოცემულ ტაძრებს შორის უძველესია სამწევრისის ტაძარი (დ). ეს ეკლესია გეგმაში თავისუფალი ჯვრის ტიპის მარტივ, მხოლოდ ძირითადი არქიტექტურული ფორმების საშუალებით შექმნილ დახვეწილ ნაგებობას წარმოადგენს. ტაძარი მცირე ზომისაა, გუმბათი დაბალია, 6 წახნაგა და განიერია. ასეთი ფორმები ქართული ადრე შუასაუკუნეების ტაძრებისთვისაა დამახასიათებელი. გარდამავალი ეპოქის ნაგებობებს მიეკუთვნება გურჯაანის ყველაწმინდა (ა), რომელიც ერთადერთი ორგუმბათიანი ტაძარია საქართველოში. მე-8-9 საუკუნეებში საქართველოში არქიტექტურული ფორმის ძიების პერიოდია, როდესაც რამდენიმე სრულიად უჩვეულო და ორიგინალური ეკლესია აშენდა. ეს ეპოქა არქიტექტურული გეგმებისა და თემების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. თუმცა ამ ეპოქაში შექმნილი არქიტექტურული ფორმები, დეტალები და გეგმარება ფეხს ვერ იკიდებს და მალევე ქრება (მაგ., ორგუმბათიანი ეკლესია). მე-11 საუკუნეშია აგებული სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც გამოირჩევა დიდი ზომებითა და სიმძლიერით, დაგრძელებული დასავლეთის მკლავით, მაღალი, 16 წახნაგიანი გუმბათით, თაღებით. ეს ტაძარი მე-11 საუკუნის დასაწყისში შექმნილი კათედრალური ტაძრების (ოშკი, ბაგრათი, ალავერდი) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია. ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის ტიპს მიეკუთვნება გრემის ტაძარი, რომელიც მე-16 საუკუნეშია აგებული. ამ ტიპის ტაძრებისათვის დამახასიათებელია დამოკლებული დასავლეთის მკლავი, ცენტრში მოთავსებული გუმბათი. ამავე პერიოდის მხატვრული ნიშანია სპარსული გავლენით შეისრული ფორმის თაღებით ტაძრის გაფორმება.

V. დავალება 31-32. შესაბამისობის დადგენა

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემულია ჩამონათვალის ორი სვეტი. უნდა დადგინდეს წარმოდგენილ მოცემულობათა შორის არსებული შესაბამისობა. დავალება მეთოდური ხასიათისაა და ამოწმებს მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო მიზნის მისაღწევად აქტივობის ადეკვატურად შერჩევის უნარს. დავალება 3 ქულით ფასდება. ერთ მიზანს მხოლოდ ერთი აქტივობა შეესაბამება.

რეკომენდაციები შესაბამისობის დავალებათა შესასრულებლად:

- ✓ გაიაზრეთ A სვეტში მოცემული საგაკვეთილო მიზნები;
- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ B სვეტში მოცემული სასწავლო აქტივობები;
- ✓ აუცილებლად წაიკითხეთ პასუხის ყველა ვარიანტი;
- ✓ გაითვალისწინეთ, რომ ერთ მიზანს მხოლოდ ერთი აქტივობა შეესაბამება;
- ✓ პირველ რიგში მონიშნეთ ის შესაბამისობა, რომლის სისწორეშიც დარწმუნებული ხართ (დავალებაზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ ისრები შესაბამისობის აღსანიშნად);
- ✓ საბოლოოდ სწორი პასუხი უნდა ჩაიწეროს პასუხებისათვის განკუთვნილ ცხრილში.

VI - ღია კითხვები

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ტესტში რამდენიმე სახის ღია კითხვას შეხვდებით: გაკვეთილის დაგეგმვა, მიზნის მიხედვით აქტივობის შერჩევა, სასწავლო მიზნის მისადაგება კონკრეტული აქტივობისათვის, მოსწავლის ნამუშევრის შეფასება და ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი.

ამ ტიპის დავალებას არ აქვს ერთი სწორი პასუხი, რადგან საკითხი შესაძლოა სხვადასხვაგვარად იყოს გაანალიზებული და პასუხები მრავალფეროვნებით გამოირჩეოდეს. ამიტომაც თითოეული ღია დავალებისათვის შეფასების სქემა წინასწარ არის შემუშავებული, რომელშიც განხილული და დასაბუთებულია სხვადასხვაგვარი შესაძლო „სწორი პასუხი“. შეფასების სქემაში დეტალურადაა აღწერილი პასუხებისა და ქულების შესაბამისობა. იმისათვის, რომ დავალება სრულფასოვნად, ყველა კრიტერიუმის მიხედვით, გასწორდეს, ის უნდა შეესაბამებოდეს მოცემულ საკითხს - დავალების პირობა სწორად უნდა იყოს გააზრებული, ამასთან, პასუხი არ უნდა წარმოადგენდეს დავალების პირობის პერიფრაზს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გამოცდის შედეგების ანალიზისას გამოვლენილი შეცდომების წარმოსაჩენად დავალებების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპების უკეთ გაგების მიზნით გთავაზობთ ზოგიერთი ღია კითხვის პასუხების ნიმუშს, თანდართული დეტალური ანალიზითა და სათანადო განმარტებებით.

1. დავალება 33. მიზანი-აქტივობა

დავალების აღწერა: დავალებაში მოცემულია მიზანი, რომლის მისაღწევადაც მასწავლებელმა შესაბამისი აქტივობა უნდა შეარჩიოს. მსგავსი ტიპის დავალება მეთოდური ხასიათისაა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვის უნარს ამოწმებს (2 ქულა).

აქაც, ისევე როგორც სხვა ღია დავალებებში, ცალსახა პასუხი არ არსებობს. მოცემული მიზნის მისაღწევად არაერთი აქტივობა შეიძლება დაიგეგმოს და შეირჩეს. მოცემული დავალება დაგვეხმარება გავიგოთ, რამდენად შესწევს მასწავლებელს უნარი მიზანს შეუსაბამოს საინტერესო და ადეკვატური აქტივობა და ამავე დროს დაასაბუთოს ამ აქტივობის ეფექტიანობა. მაქსიმალური ქულა იწერება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი აღწერს კონკრეტულ აქტივობას და წარმოადგენს საკუთარი პასუხის მყარ დასაბუთებას.

ამ დავალებათა სპეციფიკისა და შეფასების პრინციპების უკეთ გაგების მიზნით განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

შეფასების სქემა:

1. აპლიკანტის მიერ სწორად დასახელებული სასწავლო აქტივობა - 1 ქულა.
2. აპლიკანტის მიერ აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთება - 1 ქულა.

ჯამური ქულა: 2

ნიმუში 1

დავალება 33

მოსწავლეებს გასათვალისწინებელია მათი მათემატიკის შემოქმედებითი და მსჯელობის უნარი. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი თეორიის, მსჯელობის და სწავლების გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სწავლების ადგილის, აქტიურობის და მსჯელობის გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სწავლების ადგილის, აქტიურობის და მსჯელობის გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია.

განმარტება: მოცემული ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური 2 ქულით. აპლიკანტი ამომწურავად პასუხობს დავალების პირობაში დასახელებულ ორივე მითითებას - აღწერს აქტიურობას და ასახულებს მის ეფექტიანობას. პასუხი გამოირჩევა კონკრეტული და თანმიმდევრული მსჯელობით.

ნიმუში 2

დავალება 33

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სწავლების ადგილის, აქტიურობის და მსჯელობის გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სწავლების ადგილის, აქტიურობის და მსჯელობის გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი სწავლების ადგილის, აქტიურობის და მსჯელობის გამოყენებითი გამოცდის სტრატეგია.

განმარტება: მოცემული დავალება შეფასებულია 1 ქულით. აპლიკანტი ასრულებს დავალების პირობაში დასახელებულ მითითებებს, თუმცა გაურკვეველია კავშირი აქტიურობებს შორის (კედლის გაზეთი და ინტერიერის დიზაინი). ინტერიერის დიზაინი საკმაოდ ვრცელი ცნებაა და ბევრ ელემენტს შეიცავს. აქტიურობის შინაარსი უფრო მკაფიოდ უნდა იყოს გამოხატული.

ნიმუში 3

დავალება 33

შეიტანა ქვეყნის ან ინდივიდუალური მეპრობის ვითარებაში
მომსახურე ეს თუ ი თუ მკანდალობა სერში რომ ნიანაზ
გაყვითლი თბილი ვეხები მუშა ნეხტაქი შიშ ქავი ვახი
ხოყ მომსახურე შიშნელ ანოი ჯ ქავი ვეხები ყლიყლიყელ და
პაი გამოყვება შიშ რომ მკვდარ ნიარ ვახი ჰოყი ვიი ვიი
აქიომ და ვაჭიროი აქიონი ნიარქიქი შიშნელ თუ ხა აქი
ქი. ხე ჰოჭიქი ჰოჭიქი შიშნელ შიშნელ გამოვიდ თუ მ აქი.

ნიმუში 4

დავალება 33

შოსნავე ვაყენოს სხვადასხვა ერობის შატვხელი შიშნი-
ნახიობების თაყიყიყიყიყი. შატვხის სხვადასხვა ერობისა და
სტილის ნამოშეყი. ამითი ვათვადისნიშნით შექიქი თაყ-
დაყ შატვხელის მსგავსი სტილის ნამოშეყი.
თუ შოსნავე ვაყენობა და შატვხელის ამ აქივიტის,
მს თაყდაყ შატვხის შატვხის, ვასილიბის და შატვხელის
სტილიშეყი ნამოშეყი. ხე მს ვანევიტისხე მამოშეყი თუნახ.

განმარტება: მე-3 და მე-4 ნიმუშებზე წარმოდგენილი ნაშრომები შეფასებულია 0 ქულით. შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულა იწერება მაშინ, როდესაც აპლიკანტის პასუხი წარმოადგენს: 1. დავალების პირობის გამეორებას (პერიფრაზს); 2. ბუნდოვანია ან არ პასუხობს დავალების პირობას. მესამე ნიმუშზე წარმოდგენილ დავალებაში აპლიკანტის მიერ არა ადეკვატური, მიზნის შეუსაბამო აქტივობაა აღწერილი. მეოთხე ნიმუშზე წარმოდგენილი ნაშრომიც არ პასუხობს დავალების პირობას - აპლიკანტს არ ესმის სტილიზაციის მნიშვნელობა, რაც შეეხება აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთებას, იგი დავალების პირობის ტექსტის ნაწილობრივ პერიფრაზს გვთავაზობს.

დავალება 33-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის არასრული და არასწორი გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს. ნაშრომში ნათლად უნდა ჩანდეს შესაბამისობა დასახელებულ მიზანსა და დაგეგმილ აქტივობას შორის, აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს მის მიერ დაგეგმილი აქტივობის ეფექტიანობა და მიზნის შესაბამისობა აქტივობასთან.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. მაგ., ხშირია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნობრივი პროგრამიდან დაზეპირებული შედეგებისა და ინდიკატორების გამოყენების ფაქტები, რაც უმეტესად არ შეესაბამება მოცემულობას; ასევე ხშირია მიზნის შესაბამისი აქტივობის მოფიქრების ნაცვლად დავალების პირობაში დასახელებული მიზნის პერიფრაზირება. ამგვარი ნაშრომები 0 ქულით ფასდება.
- **არგუმენტების სიმწირე.** აპლიკანტების მცირე ნაწილი ახერხებს მიზნის შესაბამისი აქტივობის ეფექტიანობისა და კონკრეტული აქტივობის მიზანთან შესაბამისობის დასაბუთებას. ხშირად დასაბუთების მცდელობისას არგუმენტები არადამაჯერებელი და არამყარია.

2. დავალება 34. მოსწავლის ნამუშევრის შეფასება

რას ვაფასებთ: ტესტში წარმოდგენილია მოსწავლის პრაქტიკული ნამუშევარი, რომელსაც აპლიკანტმა შეფასების სახით განმავითარებელი კომენტარი უნდა დაურთოს იმისათვის, რომ მოსწავლემ შემდგომში ამ კომენტარის საშუალებით საკუთარი შეცდომის გამოსწორება შეძლოს. ეს დავალება, ერთი მხრივ, მეთოდური ხასიათისაა და ამოწმებს, რამდენად ფლობს პედაგოგი შეფასების ტიპებსა და სტრატეგიებს. მეორე მხრივ, მსგავსი სახის დავალება წარმოდგენას შეგვიქმნის, რამდენად შესწევს უნარი აპლიკანტს სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი და მისცეს მას სასარგებლო რჩევები. დავალება 4 ქულით ფასდება.

შეფასების სქემა:

შეფასების სქემა მაქსიმალური ქულა 4	
4 ქულა	აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი მოსწავლის ნამუშევარზე სრულყოფილია. აპლიკანტი მოსწავლეს მიუთითებს ყველა შეცდომაზე და აძლევს რჩევებს მათი გამოსწორების მიზნით. პასუხში ჩანს აპლიკანტის მიერ შეფასების ტიპებისა და სტრატეგიების სრულყოფილი ცოდნა და მათი გააზრება კონკრეტული შემთხვევისათვის, ასევე მას შეუძლია სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი.
3 ქულა	აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი მოსწავლის ნამუშევარზე მეტ-ნაკლებად სრულია. აპლიკანტი მოსწავლეს მიუთითებს ზოგიერთ შეცდომაზე და აძლევს რჩევებს მათი გამოსწორების მიზნით. პასუხში ჩანს აპლიკანტის მიერ შეფასების ტიპებისა და სტრატეგიების ცოდნა და მათი გააზრება კონკრეტული შემთხვევისათვის, ასევე მას შეუძლია სწორად წარმართოს მოსწავლის მიერ პრაქტიკული სამუშაოს შესრულების პროცესი.
2 ქულა	აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი მოსწავლის ნამუშევარზე სრულყოფილი არ არის. აპლიკანტი მოსწავლეს მიუთითებს ზოგიერთ შეცდომაზე და მეტ-ნაკლებად აძლევს რჩევებს მათი გამოსწორების მიზნით (შესაძლებელია მიუთითოს შეცდომებზე, მაგრამ ვერ მისცეს შესაბამისი რჩევები). პასუხში ჩანს აპლიკანტის მიერ შეფასების ტიპებისა და სტრატეგიების ცოდნა, თუმცა უჭირს მათი გააზრება კონკრეტული შემთხვევისათვის.
1 ქულა	აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი მოსწავლის ნამუშევარზე ბოლომდე შეცდომების ადეკვატური არ არის. აპლიკანტი ამოიცნობს ზოგიერთ შეცდომას, თუმცა რჩევების მიცემას მოსწავლისათვის ვერ ახერხებს. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი შეფასების ტიპებსა და სტრატეგიებს ვერ ფლობს და უჭირს მათი გააზრება კონკრეტული შემთხვევისათვის.
0 ქულა	აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო, ან პასუხი არ არის მოცემული, ფურცელი ცარიელია

ნიმუში 1

III. Exercises.

დავალება 34

[illegible]

განმარტება: მოცემული ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური 4 ქულით. აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი მოსწავლის ნამუშევარზე სრულყოფილია.

ნომერი 2

დავალება 34

[illegible]

განმარტება: მოცემული ნაშრომი შეფასებულია 2 ქულით. აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება არ არის სრულყოფილი. პედაგოგს ესმის, რომ მოსწავლის შექება-წახალისება კომენტარის მნიშვნელოვანი ელემენტია, თუმცა, რაც შეეხება ნამუშევრის სისუფთავეს (დამტრიახვა ერთი მიმართულებით), ფერების განაწილებას აპლიკანტი მოსწავლეს ამ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მოსწავლის ნამუშევარს.

ნიმუში 3

დავალება 34

საგნებს (ხეივან) სპეციალურ სიბრტყეებზე არაფერია ექვე
 კავებადებული და ესთ მხედველში შეიძლება თავს არ
 ხეივან დაჯდეს დაჯდეს ესთ ექვე - ზედადონ ვხედ
 გვეჯდებოდა, ხოლო მის წინაგ მვეჯდეს ექვე. ამ
 მხედველში მხედველში მხედველში სხედს იქნება და
 მხედველში ექვე მხედველში იქნება და მხედველში
 მხედველში

განმარტება: მოცემული ნაშრომი შეფასებულია 1 ქულით. აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება არ არის სრულყოფილი. პედაგოგი არ იყენებს შექება-წახალისების სტრატეგიას და არ მიუთითებს ისეთ ნაკლოვანებებზე, როგორებიცაა ფონის შესრულებისას შტრიხების ერთი მიმართულებით დატანა, ასევე კომპოზიციური განაწილების პრინციპები, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მოსწავლის ნამუშევარს.

ნიმუში 4

დავალება 34

სიბრტყეზე არაფერია გვეჯდეს, არაფერია
 ამ კხოვნილებს, ხომეღო მოთხოვნა. ამ ცდას მხედველში სხედს და
 ესთ მხედველში მხედველში. ამ მხედველში მხედველში
 მხედველში, გვეჯდეს მხედველში, ცივი და მხედველში
 მხედველში

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით. შეფასების სქემის თანახმად, 0 ქულა იწერება მაშინ, როდესაც აპლიკანტის მიერ მოსწავლისათვის მიცემული განმავითარებელი შეფასება, ანუ კომენტარი არაადეკვატურია. აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პასუხში არ ჩანს, რომ აპლიკანტი ფლობს შეფასების სტრატეგიებს. მოსწავლემ არ იცის, რა მოეთხოვება მას სტანდარტით, ამ ნამუშევრის შექმნისას მას არ სჭირდება ფერების ბორბალსა და ცივი და თბილ ფერებზე მასალის გადამეორება.

დავალება 34-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობის არასწორი გააზრება.** განმავითარებელი შეფასების არსია სწავლა-სწავლების პროცესში ხელი შეუწყოს მოსწავლეს შედეგების გაუმჯობესებაში. რჩევები და შენიშვნები უნდა იყოს მკაფიო, გაუმჯობესების სტრატეგიები ნათლად მითითებული, აუცილებელის შექება-წახალისების სტრატეგიის გამოყენება იმისათვის, რომ მოსწავლეს საკუთარი შედეგების გაუმჯობესების მოტივაცია გაუძლიერდეს. ხშირია, როდესაც აპლიკანტი ვერ აცნობიერებს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას სწავლა-სწავლების პროცესში. მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ განმავითარებელი შეფასება იყოს მოკლე, კონკრეტული, მკაფიო და ყურადღება გამახვილებული იყოს ნაშრომში არსებულ ყველა კონკრეტულ შეცდომაზე.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. მაგ., ხშირად აპლიკანტი ერთ შეცდომაზე ამახვილებს ყურადღებას და ვრცელ განმარტებას იძლევა, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული ესა თუ ის მხატვრული ხერხი ან პროცედურა ნამუშევარში, თუმცა მოსწავლე ამ თვალსაზრისით შენიშვნას არ იმსახურებს. ასევე ხშირია ნამუშევარში არსებული შეცდომების ნაცვლად დავალების პირობაში დასახელებული მხატვრული საშუალებების ახსნა-განმარტება. მაგ., მოცემული დავალება პერსპექტივის კანონების გამოყენებით პეიზაჟის შექმნას ითვალისწინებდა. ხშირია ისეთი პასუხები, რომლებშიც აპლიკანტი გვიხსნის ხაზოვანი და ჰაეროვანი პერსპექტივის გამოყენების წესს. ამგვარი ნაშრომები 0 ქულით ფასდება.

3. დავალება 35–36. სიტუაციური ამოცანა პრაქტიკული უნარების განსავითარებლად.

რას ვაფასებთ: მოცემული დავალება, პირველ რიგში, დაგვეხმარება შევაფასოთ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლის შემოქმედებითი მიდგომის, ინტერპრეტაციისა და წარმოსახვის უნარები. ასეთი დავალება მნიშვნელოვან წარმოდგენას შეგვიქმნის, თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს განუვითაროს მოსწავლეებს პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარები. ის სრულ შესაბამისობაშია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტანდარტის სხვადასხვა მიმართულებასთან: შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია, სწავლების მეთოდები. დავალება შეფასდება 2 ქულით.

1 ქულა - სიტუაციური ამოცანის დავალებში მოცემულ მიზანთან შესაბამისობის დასაბუთება.

დავალება 35

[illegible]

ნიმუში 2

დაგალება 35

1. Հանրային - սոցիալական շարժումներ, ինքնակազմակերպություններ, համայնքային կազմակերպություններ և բնակչության խմբեր, որոնք զբաղվում են հանրային հարցերով, ինքնակազմակերպվում են և իրենց նպատակը հանրային շահերի պաշտպանումն է։
 2. Մասնավոր - անհատական, ընտանիքային, ընկերային, մշակութային, սպորտային, քաղաքացիական և այլ կազմակերպություններ, որոնք զբաղվում են մասնավոր հարցերով, ինքնակազմակերպվում են և իրենց նպատակը մասնավոր շահերի պաշտպանումն է։
 3. Պետական - պետության կողմից ստեղծված կազմակերպություններ, որոնք զբաղվում են պետական հարցերով, ինքնակազմակերպվում են և իրենց նպատակը պետական շահերի պաշտպանումն է։

49

ნიმუში 3

დაფალება 35

მასწავლებელი მოსწავდეებს პროექტის საშუალებით მართვის ბერძნული წიგნი და მას წავლითი წარსავებს იფსწავლებს, რომელიც ყველა მის გმოსწავლიანს დაეხმოს. იგი სთხოვს მოსწავდეებს ვამოსთონ დამკლავს წამოდეგები ნამუშევრს გაუზიგონ. გაბოსაწონ საკლასი დამოუკიდებელი. ---
მ. კ. ბაქში იფსწავლებს საშუალებით კარგად დიქტავს არსებულ დებებს, ადამას ჟოუდიას განმარტავს ნიშნებს. ყველაზე მეტად მსჯელობს მსჯელობის გამოყენებით უფრო.

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით. ბერძნული ლარნაკების საშუალებით მოსწავლე შავსა და წითელს შორის კონტრასტს დაინახავს, თუმცა მოცემული აქტივობა, რომელიც დისკუსიას გულისხმობს, ნამუშევარში კონტრასტული ფერების გამოყენებისა და აპლიკაციის ტექნიკით მუშაობის უნარების განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს.

ნიმუში 4

დაფალება 36

მასწავლებელი ქათ-ქათ გაცვლით მოსწავლეებს უსწავს, ქათ-ქათ მიქონს ხეობს და მის ქათობს, მცნობს მათ არ მიქონს ხეობს ნამუშევრს არსებულ და მის უმოდებელს, ვითიდაც ქათობს მის ნამუშევრს, ქათობს სწავით. ქათობს დამკლავს მოსწავლეებს, უსწავლებს ქათობს, მსჯელობს, ხეობს. ---
მის უმოდებელს მოსწავლეებს თხოვს ხომ უფრო საკლავი თუა, სიყვარული არ ხაბუ სწავით, და უსწავლებს. ---
ეს სიყვარული ამოცანა უმოდებელს დამოუკიდებელი, ქათობს უმოდებელი დამკლავს ქათობს ხეობს. ---

განმარტება: მოცემული ნაშრომი შეფასებულია მაქსიმალური 2 ქულით. აპლიკანტს კარგად ესმის სიტუაციური ამოცანის არსი და ასაბუთებს მის ეფექტიანობას.

ნიმუში 5

დაგალება 36

მისი გეგმაში შევსებული შექმნის კალენდარი "დღის მუშის" საფუძველზე და ვერცხლისა და სპილოს კანისგან შედგენილი მუშის გეგმა. მისი უპირატესი, მისთვის ნაჭერები (საფუძის და მუშის), შეწყობის, განმარტების და დანერგვის გეგმაში ხაზგასმით მისი მუშის შენიშვნები. მისი მუშის უპირატესი, მისთვის, მისთვის და მისთვის.

განმარტება: მოცემული დავალება შეფასებულია 1 ქულით. აპლიკანტი საკმაოდ საინტერესო თემას სთავაზობს მოსწავლეებს კოლაჟისათვის, თუმცა დავალების ძირითადი მოთხოვნა, სიტუაციურ ამოცანასთან დაკავშირებით, შესრულებული არ არის.

ნიმუში 6

დავალება 36

[illegible]

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომი შეფასებულია 0 ქულით. გაურკვეველია და ბუნდოვანი აქტივობის დანიშნულება. სიტუაციური ამოცანა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეებისათვის კოლაჟის ტექნიკის ცოდნის გაღრმავებას და მის გამოყენებას პრაქტიკაში.

დავალება 35-36-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **სიტუაციური ამოცანის არაადეკვატური გააზრება.** სიტუაციური ამოცანა სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი საინტერესო და შემოქმედებითი სტრატეგიაა. როდესაც პედაგოგი ახერხებს საგაკვეთილო თემისა და მიზნის შესაბამისი სიტუაციური ამოცანის შერჩევას/მოფიქრებას, გაკვეთილი საკმაოდ საინტერესო, აქტიური, ხალისიანი და, რაც მათვარია, შედეგიანია. სიტუაციური ამოცანა მოსწავლეებს საკითხის ღრმად გააზრებასა და ათვისებაში უნდა ეხმარებოდეს, კონკრეტული, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობის განხორციელების სურვილს უნდა აღუძრავდეს, ეფექტური და საინტერესო უნდა იყოს. ხშირია, როდესაც აპლიკანტი

სიტუაციური ამოცანის ნაცვლად საგაკვეთილო თემასთან დაკავშირებულ აქტივობას - პრაქტიკულ სამუშაოს და მის აღწერილობას გვთავაზობს, რაც მოცემულ შემთხვევაში არასწორია.

- **ვრცელი, მაგრამ შეუსაბამო პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი ვრცელ პასუხს გვთავაზობს, თუმცა მას არ ესმის სიტუაციური ამოცანის არსი, ვერც აქტივობას უსადაგებს მოცემულ საგაკვეთილო მიზანს, ან აქტივობას არათანმიმდევრულად და გაუგებრად აყალიბებს.
- **არგუმენტების სიმწირე.** აპლიკანტების მცირე ნაწილი ახერხებს მიზნის შესაბამისი სიტუაციური ამოცანის ეფექტიანობისა და მიზანთან მისი შესაბამისობის დასაბუთებას. ხშირად დასაბუთების მცდელობისას არგუმენტები არადამაჯერებელი და არამყარია.

4. დავალება 37. გაკვეთილის დაგეგმვა

რას ვაფასებთ: დავალების მიზანია, პედაგოგმა შეადგინოს გაკვეთილის გეგმა კონკრეტულ თემაზე და განსაზღვროს:

- ა) გაკვეთილის მიზანი, რომლის მიღწევასაც გეგმავს გაკვეთილზე;
- ბ) საჭირო რესურსები (რა რესურსებია საჭირო გაკვეთილის ჩატარებისას);
- გ) აქტივობები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებელს დასახული მიზნის მიღწევაში;
- დ) შეძლოს საგაკვეთილო დროის სწორად ორგანიზება;
- ე) უნარ-ჩვევები, რომლებსაც მოსწავლე გამოიმუშავებს ან/და განივითარებს გაკვეთილის განმავლობაში.

დავალება მეთოდური ხასიათისაა და ამოწმებს პედაგოგის მიერ გაკვეთილის სწორად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარს.

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო პროცესის დაგეგმვას. გაკვეთილი სასწავლო პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის საფუძველია. ამ დავალებით ფასდება, თუ რამდენად სწორად შეუძლია აპლიკანტს დაგეგმოს სასწავლო პროცესი, შეარჩიოს თემის შესაბამისი მიზანი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად დაგეგმოს ეფექტიანი აქტივობები და გაანაწილოს დრო, ასევე დაასაბუთოს ერთ-ერთი აქტივობის ეფექტიანობა, დაასახელოს აქტივობების შესაბამისი რესურსები და უნარ-ჩვევები, რომლებსაც გაკვეთილზე განხორციელებული აქტივობების შედეგად გამოიმუშავებს მოსწავლე.

შეფასების სქემა:

1. ადეკვატურად, ლოგიკურად ჩამოყალიბებული სასწავლო მიზანი - 1 ქულა.
2. სასწავლო მიზნის შესაბამისად შერჩეული განსავითარებელი უნარ-ჩვევები - 1 ქულა.
3. ადეკვატურად შერჩეული აუცილებელი 3 ან 4 სასწავლო რესურსი - (1 ქულა) ამ სასწავლო რესურსის ეფექტურობა - 2 ქულა.
4. ადეკვატურად დაგეგმილი 1 ან 2 სასწავლო აქტივობა და ლოგიკურად დასაბუთებული მისი ეფექტიანობა -2 ქულა.

ჯამური ქულა - 5

ამ დავალების სპეციფიკისა და შეფასების პრინციპების უკეთ გაგების მიზნით განვიხილოთ მასწავლებელთა საგამოცდო ნაშრომების ნიმუშები.

ნიმუში 1

დავალება 37

სასწავლო. მიზანი	უნარ - ჩვევები	რესურსები	აქტივობები (დროის მითითებით და 1 აქტივობის ეფექტურობის დასაბუთებით)
მოსწავლეები გეგმობენ საკუთარ განვლილ სასწავლო წელიწადს და აწარმოებენ შეფასებას საკუთარი მომსახურების მიხედვით. აწარმოებენ შეფასებას საკუთარი მომსახურების მიხედვით.	1. კრიტიკული მსოიერობა 2. მსჯელობა 3. სავიდეო მსოი დაზოგობა 4. ინტერვიუ 5. შენიშვნები	კომპიუტერი. მსწავლის პერი მომსახურების მსოიერება	1. კომპიუტერი (50%) მსწავლის პერი მომსახურების მსოიერება 2. საკუთარ კომპიუტერი მსწავლის პერი მომსახურების მსოიერება 3. საკუთარ კომპიუტერი მსწავლის პერი მომსახურების მსოიერება

განმარტება: დავალება შეფასდა მაქსიმალური 5 ქულით. აპლიკანტმა წარმატებით უპასუხა დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას (დაასახელა მიზანი, რომელიც შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას, მიზანს შეუსაბამა აქტივობები, აქტივობებს რესურსები და უნარ-ჩვევები, გაანაწილა დრო აქტივობებისათვის და დაასაბუთა ერთ-ერთი აქტივობის ეფექტიანობა). წარმოდგენილი გაკვეთილის გეგმა სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის წინაპირობაა, რაც შეუწყობს ხელს გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

დავალება 37

განმარტება: მოცემული დავალება შეფასებულია 4 ქულით. აპლიკანტი ასახელებს ესგ-ს შესაბამის მიზანს (1 ქულა), ადეკვატურად აყალიბებს უნარ-ჩვევებს (1 ქულა), არჩევს რესურსებს (1 ქულა), მის მიერ შერჩეული აქტივობები მიზნის შესაბამისია, თუმცა მკაფიოდ არაა ჩამოყალიბებული და არც ერთ-ერთი აქტივობის ეფექტიანობაა დასაბუთებული (1 ქულა).

ნიმუში 3

დავალბა 37

სასწავლო მიზანი	უნარ - ჩვევები	რესურსები	აქტივობები (დროის მითითებით და აქტივობის ეფექტურობის დასაბუთებით)
შეა სუპერპოზიციის საკითხი და აქტივობების დაგეგმვის მიზნების განმარტება ეფექტურობის საფუძვლად ტექნიკის განმარტება მიზნების განმარტება	პირველი - ხელის მოძრაობის ტექნიკის უნარი	კომპიუტერი სტატიკური და დინამიური ხელის მოძრაობის უნარი	1. აქტივობის დროის მიზნების განმარტება 15 წთ 2. კომპიუტერის დინამიური მოძრაობის განმარტება 20 წთ 3. დინამიური მოძრაობის განმარტება 10 წთ

1

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომი შეფასდა 3 ქულით. აპლიკანტს უჭირს სასწავლო მიზნის შესაბამისი ფორმით ჩამოყალიბება (0 ქულა), გეგმავს აქტივობებს, თუმცა მათ ეფექტიანობას არ ასაბუთებს (1 ქულა), აპლიკანტის მიერ საგაკვეთილოდ შერჩეული რესურსები აქტივობათა ადეკვატურია (1 ქულა), მიზნის შესაბამისად ირჩევს უნარ-ჩვევებს (1 ქულა).

დავალება 37-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალების პირობის არასრული გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს. ნაშრომში ნათლად უნდა ჩანდეს შესაბამისობა გაკვეთილის დაგეგმვის ყველა კომპონენტს შორის (აქტივობები - რესურსები; აქტივობები - უნარ-ჩვევები; მიზანი - აქტივობები).
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი სრულიად არაადეკვატურია. მაგ., დავალებისათვის „ქართული შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურის თავისებურებები“ - ის იყენებს სრულიად განსხვავებულ თემაზე მის მიერ წინასწარ დაგეგმილი გაკვეთილის სქემას, რაც მოცემულ დავალებას არ შეესაბამება (მაგ., აპლიკანტის ნაშრომში დაგეგმილია გაკვეთილი, რომელიც ხაზოვანი პერსპექტივის შესწავლას გულისხმობს). ამგვარი ნაშრომები, მკაფიოდ და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული მსჯელობის მიუხედავად, ფასდება 0 ქულით.
- **არგუმენტების სიმწირე.** აპლიკანტების მცირე ნაწილი ახერხებს მიზნის შესაბამისი აქტივობის ეფექტიანობის დასაბუთებას. ხშირად არგუმენტები ზოგადია და სქემატური (მაგ., „ეს აქტივობები აძლევს მოსწავლეს ცოდნას ქართული არქიტექტურის შესახებ“).
- **არასწორად ფორმულირებული სასწავლო მიზანი და უნარ-ჩვევები.** იმისათვის, რომ ნაშრომი მაღალი ქულით შეფასდეს, აუცილებელია აპლიკანტმა მიზნისა და უნარ-ჩვევების ფორმულირება შესაბამისი ფორმით შეძლოს (სასწავლო მიზნის ნიმუშები: დაადგინოს ქართული შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურის თავისებურებები, შედარების საფუძველზე გააანალიზოს ქართული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები; უნარ-ჩვევების ნიმუშები: შედარებითი ანალიზის უნარი, ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენების უნარი, დაკვირვების შედეგად დასკვნების გაკეთების უნარი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარი).

5. დავალება 38

ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზი

რას ვაფასებთ: დავალებაში მოცემულია ხელოვნების ნიმუში, რომელსაც თან ახლავს მითითებები. ეს მითითებები აპლიკანტს მიმართულებას მისცემს ხელოვნების ნიმუშის აღწერისა და ანალიზის დროს თანმიმდევრულად იმსჯელოს მნიშვნელოვან ასპექტებზე - ძირითად სახვით და მხატვრულ-სტილურ მახასიათებლებზე (ხელოვნების ელემენტები, პრინციპები), მათ საფუძველზე შეძლოს ეპოქის, სტილისა

და ავტორის იდენტიფიცირება, შეაფასოს და გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება მოცემული ნიმუშის მიმართ, გაიაზროს ნიმუში ისტორიულ, კულტურულ და სოციალურ კონტექსტში, გამოიტანოს დასკვნები. ყოველი მითითების შესაბამისი პასუხი ფასდება 3 ქულით. მოცემული დავალება ამოწმებს ფაქტობრივი მასალის ცოდნას, მხატვრული ნაწარმოების აღქმის, კონტექსტში გააზრებისა და განხილვის, ანალიტიკური აზროვნების უნარს. დავალება ფასდება 15 ქულით.

შეფასების სქემა ხელოვნების ნიმუშის აღწერა-ანალიზისათვის მაქსიმალური ქულა ყველა ქვეპუნქტისათვის -3	
3 ქულა	საკითხი სრულყოფილადაა გააზრებული – პასუხი არის სრული, არგუმენტირებული, აპლიკანტი პასუხობს ყველა მითითებას, რომელსაც მოითხოვს დავალების პირობა. პასუხში ჩანს მოცემული საკითხის გააზრებული, დამაჯერებელი, სრულყოფილი ანალიზი. პასუხი გამყარებულია ლოგიკური არგუმენტებითა და/ან დამაჯერებელი, ადეკვატური მსჯელობით.
2 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ცოდნა, აპლიკანტის პასუხი არის სწორი/ადეკვატური, მაგრამ ზოგადი და სქემატური.
1 ქულა	პასუხში ჩანს საკითხის ნაწილობრივი გააზრება. აპლიკანტი არ პასუხობს პირობაში მოცემულ ყველა მითითებას, ან მისი პასუხი ნაწილობრივ აცდენილია დასმულ პრობლემას. თუმცა მსჯელობიდან ჩანს, რომ აპლიკანტს ესმის პირობაში დასმული საკითხის არსი.
0 ქულა	პასუხი არაადეკვატურია აპლიკანტი ვერ პასუხობს დავალების მოთხოვნებს. პირობაში მოცემული ინფორმაცია მეორდება კომენტარისა და ინტერპრეტაციის გარეშე. პასუხში არაფერია მოცემული, რაც მიუთითებს/დაგვარწმუნებს, რომ აპლიკანტს აქვს გარკვეული ცოდნა საკითხის გარშემო. • დავალების პირობა სწორად არ არის გააზრებული. პასუხში ჩანს, რომ აპლიკანტი არაადეკვატურად იყენებს, ან არ გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები; • პასუხი ბუნდოვანია, მასში მეორდება დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია, ან მოყვანილია არაფრისმთქმელი, ბუნდოვანი არგუმენტები და განმარტებები.

ჯამური ქულა 15

- [illegible]

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომები შეფასებულია მაქსიმალური 15 ქულით. მოცემული ნიმუშები ფერწერული სურათის აღწერა-ანალიზის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. აქ ყურადღება უშუალოდ სახვით საშუალებებზე და მათ ანალიზზეა გამახვილებული. ასევე გამოხატულია აპლიკანტის უშუალო დამოკიდებულება სურათის მიმართ და განხილულია საკითხი ისტორიულ კონტექსტში, ასევე წარმოჩენილია მხატვრული გავლენები, რომლებიც საშუალებას აძლევს აპლიკანტს შესაბამისი დასკვნები გამოიტანოს და მიაკუთვნოს ნაწარმოები ეპოქას, დაადგინოს ავტორი.

განმარტება: წარმოდგენილი ნაშრომი შეფასებულია 5 ქულით. პირველ ნაწილში აპლიკანტი ზოგადად ახასიათებს კომპოზიციას და სწორად ასახელებს სახვითი ხელოვნების დარგს, გამოყენებულ მასალას და ტექნიკას, რაშიც მან დაიმსახურა 2 ქულა. მომდევნო ნაწილში, რომელშიც სახვითი ელემენტები და პრინციპები უნდა იყოს გაანალიზებული, აპლიკანტის მსჯელობა ზოგადია და სქემატური. ეს მონაკვეთი შეფასებულია 1 ქულით. მესამე ნაწილში დასახელებულია მხოლოდ ეპოქა რენესანსი, რის გამოც ეს ნაწილი შეფასებულია 1 ქულით. მომდევნო მეოთხე ნაწილში აპლიკანტი თითქოს ამჟღავნებს საკუთარ დამოკიდებულებას ხელოვნების ნიმუშის მიმართ, ასახელებს რამდენიმე მხატვრულ ხერხს, რაც, მისი აზრით, ნაწარმოებს გამორჩეულს ხდის, თუმცა მსჯელობა აქაც ზედაპირული და ნაშრომის ეს ნაწილი შეფასებულია 1 ქულით. აპლიკანტის მიერ დავალების ბოლო ნაწილის პირობა არ არის ადეკვატურად გააზრებული და შესაბამისად 0 ქულით შეფასდა.

დავალება 37-ის შესრულების დროს დაშვებული ტიპური შეცდომები

- **დავალებების მითითებების არასრული გააზრება.** მაქსიმალური ქულის მისაღებად მნიშვნელოვანია, რომ აპლიკანტი სრულად იაზრებდეს დავალების პირობაში მოცემულ ყველა მითითებას და შესაბამისად, მისი პასუხი აკმაყოფილებდეს ყველა ქვეპუნქტს.
- **ვრცელი, მაგრამ არაადეკვატური პასუხი.** ხშირია, როდესაც აპლიკანტი თითქმის სრულად ავსებს დავალებისათვის განკუთვნილ არეს, თუმცა მისი პასუხი არაადეკვატურია. მაგ., სახვით საშუალებებზე მსჯელობისა და მათი გაანალიზების ნაცვლად იგი საუბრობს ქორწინებაზე, სიუჟეტის დინამიკურობაზე, ან სიმშვიდეზე, პერსონაჟთა თავისებურებებზე და ა. შ. ასეთი პასუხები დავალების პირობაში მოცემულ მითითებებს არ შეესაბამება და ფასდება 0 ქულით.
- **არგუმენტების სიმწირე.** როდესაც დავალების პირობაში საუბარია ნაწარმოების შეფასებაზე, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვაზე, აპლიკანტმა უნდა დაასაბუთოს საკუთარი შეხედულებები მყარი არგუმენტებით: რა ნიშნით აფასებს ნაწარმოებს, ოსტატის მიერ გამოყენებულ რომელ სახვით საშუალებებსა და ხერხებს ეფუძნება მისი მოსაზრებები, რომელ მხატვრულ ხერხსა და საშუალებას იყენებს ოსტატი ნაწარმოებში ხასიათის შესაქმნელად და იდეის გადმოსაცემად.
- **მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა კონტექსტში განხილვის დეფიციტი.** ხელოვნების ისტორიის განვითარების მანძილზე ძნელად თუ მოიძებნება ნაწარმოები, რომელიც სრულებით ამოვარდნილია ისტორიულ-კულტურული თუ სოციალური კონტექსტიდან. ყოველ ნაწარმოებს, მიუხედავად მკვეთრად დამახასიათებელი და ყველასგან გამორჩეული სტილისა და ინდივიდუალიზმისა, გარკვეული საფუძვლები გააჩნია და კულტურული კუთვნილების მატერებელია. სასურველია, აპლიკანტმა მოახერხოს მსჯელობის ამ მიმართულებით წარმართვა. შესაძლოა, ყოველგვარ ცოდნაზე

დაყრდნობის გარეშე, მან გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, დააკავშიროს მხატვრული ფორმა და შინაარსი, გაავლოს ისტორიული ან/და სოციალური პარალელები, მხატვრული ფორმის თვალსაზრისით შეადაროს მისთვის ნაცნობ ამავე თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს, გაავლოს პარალელები, აღმოაჩინოს განმასხვავებელი ნიშნები და ამ მსჯელობაზე დაყრდნობით ნაწარმოების წარმომავლობასთან დაკავშირებით გარკვეული დასკვნები გააკეთოს.

რეკომენდაციები:

- ✓ ყურადღებით წაიკითხეთ დავალების პირობა, პასუხისას დავალების პირობაში მოცემული ინფორმაცია გაითვალისწინეთ;
- ✓ პასუხის გაცემისას ნუ გაიმეორებთ დავალების პირობაში მოცემულ ინფორმაციას;
- ✓ პასუხის მოცულობის გაზრდის მიზნით არ არის სასურველი ზოგადი და არაფრის მთქმელი ფრაზების გამოყენება, რაც პასუხის ხარისხს მნიშვნელოვნად წევს დაბლა. უმჯობესია, მსჯელობა კონკრეტულად საკითხს შეეხებოდეს. ხშირად ერთი წინადადება გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას ქმნის აპლიკანტზე, ვიდრე ზოგადი ფრაზებით მაღალფარდოვანი მსჯელობა.

დანართი I

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული უნარ-ჩვევები

მიმართულება: შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

- ა) ხელოვნების ელემენტებისა და პრინციპების გამოყენება ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ჟესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.);
- ბ) ნამუშევრის შექმნისას კომპოზიციური განაწილების პრინციპების (მთლიანობა, წონასწორობა, პერსპექტივა, პროპორცია, ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი, მასშტაბი, სიმეტრია) გამოყენება;
- გ) ნამუშევრის შექმნისას ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება (კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი, ფერი (ძირითადი, შედგენილი და სხვ.);
- დ) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი და ა.შ.) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა;
- ე) სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, კონტრასტი, კომპოზიციური განაწილება, სხვადასხვაგვარი მონასმი, ფაქტურა, ლაქა, კოლორიტი და ა.შ.) და ეფექტების გამოყენებით ასოციაციების, ემოციების, იდეების გადმოცემა;
- ვ) სხვადასხვა ტექნიკის, პროცედურის (ტრადიციული ხელსაქმის სხვადასხვა სახეობის, ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, აპლიკაციის და ა.შ.) გამოყენება;
- ზ) კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება დიზაინის შესაქმნელად, პრეზენტაციის ჩასატარებლად;
- თ) სასკოლო რესურსის შექმნა (თეატრალური რეკვიზიტები სასკოლო სპექტაკლებისათვის, სასკოლო სტენდები, წიგნების აკინძვა, რუკები და სხვ.) და ადეკვატური გამოყენება;
- ი) ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას (ხელოვნების ელემენტების, პრინციპების, სხვადასხვა მასალის, ტექნიკისა და პროცედურის გამოყენებით);
- კ) შემოქმედებითი იდეების პროდუცირების უნარი (მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების და მოსწავლეთა შესაძლებლობების შეთავსებით სხვადასხვა ტიპის თემების, აქტივობების, პროექტების ორგანიზება, ლოგიკური, შედეგზე ორიენტირებული თანმიმდევრობის დაგეგმვა და განხორციელება);
- ლ) მოსწავლეებისათვის უსაფრთხო, კომფორტული, შემოქმედებითი და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემეცნებისა და შემოქმედების მოტივირებას;

მ) სასწავლო რესურსების ორგანიზება; მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინება, თვითგამოხატვის საშუალების მიცემა, საინტერესო ამოცანებისა და აქტივობების შეთავაზება და სხვ.);

ნ) მოსწავლეების დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობის ორგანიზება (მოსწავლეთა ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ფუნქციების ადეკვატურად განაწილება, მეწყვილეთა ურთიერთდახმარების წახალისება).

მიმართულება: ხელოვნების აღქმა კონტექსტში:

ა) ხელოვნების ნიმუშის, ავტორის, ეპოქის ამოცნობა;

ბ) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნების (მაგ., ძველი აღმოსავლეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, XV–XIX საუკუნეების დასავლეთ ევროპა) გარჩევა - ანალიზი, მსჯელობა სხვადასხვა ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებზე, (კომპოზიციური განაწილება, კოლორიტი, ხაზი, ფორმა, შესრულების მანერა), თემატიკაზე, ეპოქათა შორის გავლენაზე და შემოქმედის ინდივიდუალობაზე. (ამ კუთხით ეგვიპტური, ანტიკური, შუა საუკუნეებისა და სხვა ეპოქის ხელოვნების შედარებითი ანალიზი, ნამუშევრის შინაარსის დაკავშირება ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ კონტექსტთან (მაგ., დელაკრუას „თავისუფლება ბარიკადებზე“);

გ) სხვადასხვა მხატვრული სტილი, სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნების (ფორმა – მოცულობითი/ბრტყელი, გარემო – რეალური/ირეალური, პროპორციები, მასშტაბი რეალური/უტრირებული, დარღვეული, და სხვ.) და ძირითადი მიმდინარეობების გარჩევა-ანალიზი; მსჯელობა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლეს კონცეფციებსა და ფორმებზე (ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, რა ცვლილებები ხდებოდა ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები არსებობდა XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე);

დ) სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების ამოცნობა-დახასიათება, მსჯელობა მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიის შესახებ;

ე) სხვადასხვა ეპოქაში არსებული დომინანტური ხელოვნების დარგების ეპოქალური ანალიზი;

ვ) მსჯელობა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებზე, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიაზე, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების დამზადების ტექნოლოგიასა და მასალაზე;

ზ) მსჯელობა-ანალიზი ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ;

თ) კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტში გააზრების უნარი;

ი) ხელოვნების ნაწარმოების შინაარსის ამოცნობა და დაკავშირება ცხოვრებისეულ, ლიტერატურულ, ისტორიულ, რელიგიურ სიუჟეტებთან; ნაწარმოების შინაარსისა თუ დეტალების სხვა საგნებში განვლილ სასწავლო მასალასთან დაკავშირება.

მიმართულება: კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია:

ა) ხელოვნების ნიმუშის ანალიზი და შეფასება:

ბ) მსჯელობა ხელოვნების ნაწარმოების იდეის, შინაარსის, დანიშნულების, ფუნქციის შესახებ. ხელოვნების ნაწარმოების (ფერწერული ტილო, გრაფიკული ნამუშევარი, ფილმი, წარმოდგენა, პლაკატი, ნახატი, ქანდაკება, მემორიალი და სხვ.) ამ კუთხით ანალიზი.

გ) მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ არის გამოყენებული ხელოვნების ელემენტები და პრინციპები ნამუშევარში იდეის, შინაარსის, ხასიათის, განწყობილების გადმოსაცემად (კომპოზიციური განაწილება, ფერი, კოლორიტი, ფაქტურა, განათება; შესრულების მანერა: მონასმი, ხაზი, ფორმა; დეტალი: პოზა, ჟესტი, გამომეტყველება, აქსესუარები და ა.შ.);

დ) მსჯელობა სხვადასხვა მხატვრული სტილისა და ძირითადი მიმდინარეობების შესახებ (გოთური, რომანული, მანიერიზმი, ბაროკო, როკოკო, კლასიციზმი, რეალიზმი, იმპრესიონიზმი, ავანგარდიზმი (ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვ.).

ე) მოსწავლის წახალისება აზრის, იდეის გამოთქმისათვის; მოსწავლეთა თემატურ დისკუსიაში ჩაბმა და მათი აზრის ადეკვატური შეფასება.

ვ) სათანადო ტერმინოლოგიის გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში განმარტება.

ზ) სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა-ორგანიზება: კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა, საკლასო და სასკოლო გამოფენა, თემატური პრეზენტაცია, ზეიმი, სპექტაკლი, ექსკურსიები მუზეუმებში, გალერეებში, ქალაქგარეთ.

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა

სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები:

ა) ხაზი, შტრიხი, მონასმი, ფერი (ძირითადი, შედგენილი, კონტრასტული ფერები, კოლორიტი, ფერის ინტენსივობა, ნახევარტონი), შუქ-ჩრდილი, ფაქტურა, ფორმა, მოცულობა; პროპორციები; კომპოზიციური განაწილების საფუძვლები: მთლიანობა, სივრცე (ხედვის წერტილი, ჰორიზონტის ხაზი, პერსპექტივა, თავშეყრის წერტილი, წინა და უკანა პლანი) სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი.

ტექნიკა და პროცედურა:

ბ) ფერწერის, გრაფიკის სხვადასხვა ტექნიკა, მერწვა, აპლიკაცია, ქაღალდის პლასტიკა, მოზაიკა, კოლაჟი, კონსტრუქცია, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები; დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება ქაღალდის, თიხის, ქსოვილის, ხის, ლითონის და სხვა (მაგ., ბუნებრივი) მასალით.

საქართველოს ხელოვნება და კულტურა:

ა) ინფორმაცია ქართული ხელოვნების შესახებ (საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლების შესახებ, სახვითი ხელოვნების ქართველ მოღვაწეებსა და მათ შემოქმედებაზე); ქართული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები: ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, არქიტექტურა, კედლის მხატვრობა, კერამიკა,

მინანქარი, ოქრომჭედლობა, ჭედურობა და სხვ. ამ ჭრილში საქართველოს სხვადასხვა კუთხის თავისებურება, ხალხური რეწვა.

მსოფლიოს ხალხთა ხელოვნება და კულტურა:

- ა) სხვადასხვა ეპოქის ხელოვნება (პირველყოფილიდან პოსტმოდერნიზმამდე), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგების ანალიზი;
- ბ) ეპოქის ისტორიული, სოციალური, რელიგიური და პოლიტიკური კონტექსტი და მისი გავლენა მომდევნო პერიოდის ხელოვნებაზე;
- გ) თანამედროვე ხელოვნების კონცეფციები, მიმდინარეობები და ფორმები (ტექნოლოგიები, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა) ხელოვნების როლი საზოგადოების ცხოვრებაში.
- დ) სხვადასხვა მხატვრული სტილი და ძირითადი მიმდინარეობები ხელოვნებაში: ბიზანტიური, გოთური, რომანული, ბაროკო, როკოკო, მოდერნი; კლასიციზმი, რეალიზმი, რომანტიზმი, იმპრესიონიზმი, აბსტრაქციონიზმი, კუბიზმი, ფოვიზმი, ფუტურიზმი და სხვ.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების უახლესი კონცეფციები და ფორმები

- ა) ტექნოლოგია, თეორიები, გამომსახველობითი ხერხები, მასალა, ცვლილებები ხელოვნებაში (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, არქიტექტურა, დიზაინი და ა.შ.) და რომელი მიმდინარეობები ცვლიდა ერთმანეთს XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

სახვითი ხელოვნების დარგებისა და ჟანრების წარმოშობისა და განვითარების ისტორია

- ა) ხელოვნების ისტორიის ელემენტარული საფუძვლები; კონკრეტული ჟანრის სხვადასხვა ეპოქის ან ავტორის ნამუშევართა შედარებითი ანალიზი.

გამოყენებითი ხელოვნების დარგები

- ა) მატერიალური კულტურის ისტორიის ელემენტარული საფუძვლები; ცალკეული დარგების განვითარების ისტორია, დანიშნულება, სპეციფიკა, მასალა, ისტორიული და თანამედროვე ნიმუშები.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროცესის დაგეგმვა:

- ა) სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა და სასწავლო პროცესის დაგეგმვა; დასახული მიზნების შესაბამისი, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებებისა და სავარჯიშოების შერჩევა ან შედგენა, რათა მოსწავლეები ეტაპობრივად მოემზადონ დასახული გრძელვადიანი მიზნის განსახორციელებლად;
- ბ) სასწავლო მიზნის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, საკომუნიკაციო და სხვ.)

დადგენა და ხელოვნების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, სადაც მოსწავლე სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას;

გ) აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც ხელს უწყობს: მოსწავლეთა შემოქმედებით საქმიანობას, ხელოვნების ნიმუშების აღქმის უნარის ჩამოყალიბებას, ხელოვნების უნივერსალური ენის შესწავლას, გარემოს ესთეტიკური აღქმისა და მოწესრიგების უნარების გამომუშავება-განვითარებას;

დ) სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისი ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვა (მაგ., პროექტი, აქტივობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ინტერდისციპლინური აქტივობები/პროექტები), მიზნების განსაზღვრა, სხვა საგნებთან კავშირის დადგენა, მიზნების შესაბამისი იდეის/თემისა და დავალების შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და ფუნქციების, განხორციელების ეტაპების, გზებისა და საშუალებების განსაზღვრა;

ე) გაკვეთილისათვის შერჩეული სავარჯიშოების/დავალებების განსახორციელებლად საჭირო დროის განსაზღვრა, თითოეული აქტივობის მსვლელობის ეტაპების დაგეგმვა და სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა.

შეფასების, მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა

სასწავლო პროცესის წარმართვა:

ა) გაკვეთილების ჩატარება გეგმის მიხედვით;

ბ) ისეთი ხერხების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივირებას გასაცნობი მასალის მიმართ: მასალისა და აქტივობის შერჩევისას მოსწავლეთა შესაძლებლობისა და ინტერესების გათვალისწინება, წინმსწრები სამოტივაციო აქტივობების შემუშავება – ვარაუდების გამოთქმა, მოსწავლის პირად გამოცდილებასთან შინაარსის/ინფორმაციის დაკავშირება, მოსწავლის ცოდნის გააქტიურება, საინტერესო ამოცანების დასმა, აზრის გამოთქმის, მსჯელობის წახალისება და სხვ.;

გ) მოსწავლეთა მოტივირება სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩასაბმელად: მოსწავლის ინტერესებთან და მის პირად გამოცდილებასთან დაკავშირებული თემების/საკითხების შერჩევა, თვითგამოხატვისა და არჩევანის (თემა, მასალა, გამომსახველობითი ხერხები და სხვ.) საშუალების მიცემა, საინტერესო დავალებების შეთავაზება და სხვ.;

დ) ხელოვნების საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების ისეთი ეფექტური სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლეებისათვის ამოცანების/პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის განვითარებაზე;

ე) მოსწავლეებისათვის გრძელვადიანი პროექტის დაგეგმვა და ეტაპობრივად განხორციელება: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა,

მოდელზე დაკვირვება, საჭირო მასალის თავმოყრა/მოძიება, ჩანახატის, ესკიზის შექმნა მომავალი ნამუშევრისათვის, შედეგის გაუმჯობესება-გადამუშავება, თვითშეფასების/თანაშეფასების, მეწყვილესთან აზრის გაცვლის, ურთიერთდახმარების გზით და სხვ.;

ვ) ისეთი ხერხების გამოყენებაზე, რომლებიც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩაბმას საკლასო აქტივობებში: დიფერენცირებული მოთხოვნების წაყენება მოსწავლეთა შესაძლებლობების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპისა და სირთულის ამოცანების დასმა, კლასში პასუხების/მოსაზრებების შედარება-გაანალიზების ხელშეწყობა, საკამათო საკითხებზე დისკუსიის წახალისება და სხვ.;

შეფასება

ა) განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით:

მოსწავლის კომპეტენციის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ცოდნის ათვისების მესამე დონეზე;

გ) მოსწავლეთა მრავალმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად სასწავლო პროცესში შეფასების მრავალფეროვანი კომპონენტების გამოყენება;

დ) სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმების და ხერხების შერჩევა/შემუშავება;

ე) მოსწავლეთა ჩართვა შეფასების კრიტერიუმების შემუშავების, თვითშეფასებისა და თანაშეფასების პროცესში; ხელშეწყობა, რომ მათ დამოუკიდებლად განსაზღვრონ:

ვ) სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, აღმოფხვრან ხარვეზები, მოიძიონ პრობლემათა გადაჭრის გზები და სხვ.;

ზ) მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად შეფასების მონაცემების გამოყენება;

თ) მოსწავლეთა საჭიროებების, პროგრესისა და მიღწევების აღნუსხვა, ანალიზი და ანგარიშის სახით წარმოდგენა;

ი) საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;

კ) შეფასებისა და თვითშეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.

დანართი II

2015 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების პროგრამა

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
ხელოვნების ისტორია	
1. პროფესიული ცოდნა	• ხელოვნების ისტორიის პერიოდები, მიმდინარეობები და სტილები; სტილისა და მიმდინარეობების მხატვრული მახასიათებლები; • ტერმინები და მხატვრული ენა; • სახვითი ხელოვნების დარგები, ჟანრები; • სახვითი ხელოვნების ძირითადი ელემენტები და პრინციპები (ხაზი, კონტური, ფერი, ფორმა, ორნამენტი, კოლორიტი, ტონალობა, შუქ-ჩრდილი, გრადაცია, ფაქტურა, მოცულობა, მთლიანობა, პროპორცია, სივრცე, ხედვის წერტილი, პერსპექტივა, სიმეტრია, რიტმი, წონასწორობა, კონტრასტი, დინამიკა, კომპოზიცია); • სახვითი მასალა და ტექნიკა (ფერწერა, გრაფიკა, ძერწვა, აპლიკაცია, მოზაიკა, ქაღალდის პლასტიკა, კოლაჟი, ანაბეჭდი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, დეკორატიულ-გამოყენებითი საგნების დამზადება სხვადასხვა მასალის გამოყენებით).
2. პრეისტორიული ეპოქის ხელოვნება	სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის წარმოშობა, პირველყოფილი ხელოვნება: პერიოდიზაცია, პალეოლითისა და ნეოლითის ხანის ძეგლები: მცირე პლასტიკა - ქანდაკება, დეკორატიული ხელოვნება; გამოქვაბულის მხატვრობა (ტასილი, ალტამირა, ლასკო), არქიტექტურა (დოლმენები, სტოუნჰენჯი).

	ისტორიული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, გლიპტიკა და გამოყენებითი ხელოვნება: ფასარგადის, პერსეპოლისის არქიტექტურული კომპლექსები (სასახლეები, რელიეფი, ქანდაკება, გამოყენებითი ხელოვნება)
4. ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი ა. ეგეოსური სამყაროსა და ძველი საბერძნეთის ხელოვნება ბ. ბერძნული არქაული ხელოვნება გ. ბერძნული კლასიკური ხელოვნება	ანტიკური ხელოვნების პერიოდიზაცია; ანტიკური სამყაროს მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში. კრეტა-მიკენის ხელოვნება (კნოსოსის სასახლის არქიტექტურა, ქანდაკება, კედლის მხატვრობა: „პარიზელი“ ქალის პორტრეტი, აკრობატები ხარზე, კედლის მხატვრობა ცისფერი ჩიტით; მეფე-ქურუმის რელიეფი; მიკენის აკროპოლისი - ლომების კარიბჭე, აგამემნონის ნილაბი, კერამიკა). არქიტექტურული ორდერი, კუროსები და კორები, კერამიკაზე მხატვრობა – კერამიკული ჭურჭლის სახეობები, კერამიკული მხატვრობის სტილები. პერიოდიზაცია; არქიტექტურა, ქანდაკება, რელიეფი; ადრეული კლასიკა (პოსეიდონის ტაძარი პესტუმში, ათენა აფაიას ტაძარი კუნძულ ეგინაზე, დელფოსის მეეტლე, მეხისმტყორცნელი ზევსის ქანდაკება, მირონის შემოქმედება); მაღალი კლასიკა (ათენის აკროპოლისი, ფიდიასისა და პოლიკლეტის შემოქმედება); გვიანი კლასიკა (ეპიდავროსის თეატრი, არტემისის ტაძარი ეფესოში, ჰალიკარნასის მავზოლეუმი, სკოპასის, პრაქსიტელისა და ლისიპეს შემოქმედება).

დ. ელინისტური ხელოვნება	არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (ზევსის ტაძარი ოლიმპიაში, პერგამონის არქიტექტურა და რელიეფი, მოზაიკა დელოსის ნიღბების სასახლიდან, ქანდაკება პერგამონიდან, ნიკე სამოთრაკიელი, აფროდიტე მილოსელი, ფილოსოფოსის თავი, ლაოკოონი).
ე. ეტრუსკული ხელოვნება	არქიტექტურა (ჩერვეტერის რეგოლინი-გალასის აკლდამა, ტარკვინიის ციხე-სიმაგრე, ტაძრები, სახლები); აკლდამების მხატვრობა (ვაკხანტების, ლომების, ლეოპარდის სამარხის მოხატულობა), ეტრუსკული ქანდაკება (ჰერმესისა და აპოლონის ქანდაკება ვეიდან, ჩერვეტერის სარკოფაგი).
ვ. რომის რესპუბლიკისა და იმპერიის ხელოვნება	პერიოდიზაცია; ქალაქთმშენებლობა, არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა/მოზაიკა, რელიეფი (რომის ფორუმი, პომპეის სასახლები, აკვედუკები, ხიდები, თერმები, ტრიუმფალური თაღები, სარკოფაგები – ვია აპია, ფაბრიციუსის ხიდი რომში, ადრიანეს მავზოლეუმი რომში, ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რომში, ადრიანეს თერმები ლეპტის მაგნაში, ევრისაკის სამარხი რომში, ცეცილიუს მეტელას სამარხი რომში, ნერონის ქანდაკება, მარკუს ავრელიუსის ცხენოსანი ქანდაკება, ტრაიანეს სვეტი, კოლიზეუმი, რომის პანთეონი, პომპეის მხატვრობა, ფაიუმის პორტრეტები).
5. ბიზანტიის ხელოვნება	ბიზანტიური ხელოვნების თავისებურებები; ისტორიულ-კულტურული მიმოხილვა/პერიოდიზაცია; ბიზანტიური არქიტექტურის ტიპები (რავენას გუმბათური ხუროთმოძღვრება - სან ვიტალე, აია სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში); ბიზანტიური ფრესკული და მოზაიკური მხატვრობა (სან ვიტალე, აია სოფია, გალა პლაციდიას მავზოლეუმი, სან აპოლინარე ნუოვო, მინიატურა (რაბულას და როსანოს კოდექსები).

6. ქართული ხელოვნება	ქართული ხელოვნების უძველესი ნიმუშები და უძველესი ნაგებობანი; ანტიკური ხანის ქართული ხელოვნება (კოლხური სამკაული); ქართული ქრისტიანული ხელოვნების პერიოდიზაცია/ისტორიულ-კულტურული კონტექსტი; ბაზილიკისა და დარბაზული ეკლესიის თემა ქართულ არქიტექტურაში; გუმბათოვანი ტაძრის თემა ქართულ არქიტექტურაში; ტეტრაკონქი - მცხეთის ჯვარი და ჯვრის ტიპის ძეგლები; ქართული კათედრალური – ოშკი, ბაგრტი, სვეტიცხოველი, ალავერდი; სამთავრო-სამთავისის ტიპის ძეგლები; VI-XVI სს. ქართული რელიეფი; ადრეული ხანისა და შუა საუკუნეების ქართული მოზაიკური მხატვრობა; შუა საუკუნეების ქართული ფრესკული მხატვრობა; ქართული ჭედური ხელოვნების განვითარების ეტაპები; IX-XIII სს-ის ჭედური ხელოვნების თავისებურებები; XIX-XX სს-ის ქართული სახვითი ხელოვნება (თბილისური პორტრეტი; აკადემიური მხატვრობა – გიგო გაბაშვილი, მოსე თოიძე, რუსული რეალისტური ხელოვნების გავლენა); ახალი და თანამედროვე ხელოვნება: მხატვრები - ნიკო ფიროსმანაშვილი, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, ელენე ახვლედიანი, ქეთევან მაღალაშვილი, კირილე ზდანევიჩი, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვი, სერგო ქობულაძე, ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, დიმიტრი ერისთავი, ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი; თეატრის მხატვრები – ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი; მოქანდაკეები - იაკობ ნიკოლაძე, ნიკოლოზ კანდელაკი, მერაბ ბერძენიშვილი, ელგუჯა ამაშუკელი, გოგი ოჩიაური.
7. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ხელოვნება	რომანული და გოთური ხელოვნების მიმოხილვა ისტორიულ-კულტურულ და სოციალურ კონტექსტში; ხელოვნების სინთეზის საკითხი შუა საუკუნეების ხელოვნებაში – არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა.

ა. საფრანგეთის რომანული ხელოვნება	წმ. ტროფიმეს ტაძარი არლში, წმ. ლაზარეს ტაძარი ოტუნში, წმ. პეტრეს ტაძარი მუასაკში (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
ბ. საფრანგეთის გოთური ხელოვნება	პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, შარტრის ტაძარი, რუანის, სტრასბურგის კათედრალური ტაძრები (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
გ. გერმანიის რომანული ხელოვნება	ვორმსის ტაძარი, მაინცის კათედრალური ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი)
დ. გერმანიის გოთური ხელოვნება	მარბურგის ტაძარი, ნაუმბურგის ტაძარი, კიოლნის ტაძარი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
ე. ინგლისის რომანული ხელოვნება	დურჰამის კათედრალური ტაძარი, კათედრალური ტაძარი ილიში (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
ვ. ინგლისის გოთური ხელოვნება	ექსეტერის კათედრალი, ვესტმინსტერის სააბატო, სამეფო კოლეჯის კაპელა, უელსის კათედრალი (არქიტექტურა, ქანდაკება, ვიტრაჟი).
8. რენესანსის ხელოვნება	
ა. იტალიური რენესანსი	პერიოდიზაცია; რენესანსის ეპოქის ისტორიულ-კულტურული ასპექტები; ადრეული რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (სკროვენის კაპელა პადუაში, კამპოს მოედნის არქიტექტურა სიენაში, ბაფტისტერიუმი ფლორენციაში, ფილიპო ბრუნელესკის, ლორენცო გიბერტის, ანდრეა დელა რობიას,

ბ. გერმანული რენესანსის ქანდაკება და მხატვრობა გ. ნიდერლანდების ხელოვნება XV-XVI საუკუნეებში	დონატელოს, ჯოტოს, მაზაჩოს, პიერო დელა ფრანჩესკას, სანდრო ბოტიჩელის შემოქმედება), მაღალი და გვიანი ხანის რენესანსის არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა (წმ. პეტრეს ტაძარი, მედიჩების სასახლე და განსასვენებელი, პაპი იულიუს II-ის განსასვენებელი, ჯორჯონეს, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, მიქელანჯელოს შემოქმედება). მატიას გრუნევალდის, ალბრეხტ დიურერის, ლუკას კრანახის, მარტის შონგაუერის შემოქმედება. იან ვან ეიკის, როგორც ვან დერ ვეიდენის, იერონიმუს ბოსხის, პიტერ ბრეიგელის შემოქმედება.
9. XVII-XIXსს. ევროპული ხელოვნება 10. ახალი და თანამედროვე დასავლური ხელოვნება	ისტორიულ-კულტურული, სოციალური მიმოხილვა: ბაროკოს, როკოკოს, რომანტიზმის, ნეოკლასიციზმის და რეალიზმის მხატვრული მიმდინარეობები: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ბერნინი, ელ გრეკო, დიეგო ველასკესი, პიტერ პაულ რუბენსი, რემბრანტი, იან ვერმეერი, ანტუან ვატო, ფრანსუა ბუშე, ჟაკ ლუი დავიდი, ოგიუსტ დომინიკ ენგრი, თეოდორ ჟერიკო, ეჟენ დელაკრუა, ფრანსისკო გოია, უილიამ ტერნერი, გუსტავ კურბე, ონორე დომიე). იმპრესიონიზმი, პოსტიმპრესიონიზმი, ექსპრესიონიზმი, ფოვიზმი, კუბიზმი (აფრიკული ქანდაკებისა და ნიღბების, კოლუმბამდეელი სამხრეთ ამერიკის, იაპონური ხელოვნების გავლენა თანამედროვე ხელოვნებაზე), ნაივური ხელოვნება, არ-ნუვო, სიმბოლიზმი, ავანგარდული ხელოვნება - აბსტრაქციონიზმი, სურეალიზმი, დადაიზმი, პოპ-არტი: არქიტექტურა, ფერწერა, ქანდაკება (ედუარდ მანე, კლოდ მონე, ედგარ დეგა, პიერ-ოგიუსტ რენუარი, ალფრედ სისლეი, კამილ პისარო, ოგიუსტ როდენი, ანრი დე ტულუზ-ლოტრეკი, პოლ სეზანი, პოლ გოგენი, ვან-გოგი, ოდილონ რედონი, ედვარდ მუნკი, ანრი მატისი, პაბლო

	პიკასო, ჟორჟ ბრაკი, ანრი რუსო, გუსტავ კლიმტი, სალვადორ დალი, რენე მაგრიტი, ალბერტო ჯაკომეტი, მარკ შაგალი, ვასილი კანდინსკი, კაზიმირ მალევიჩი, ხუან მირო, მარსელ დიუმანი, პიტ მონდრიანი, კონსტანტინ ბრანკუზი, ჯექსონ პოლოვი, ენდი ვორჰოლი, მარკ როტკო. რობერტ რაუშენბერგი; არქიტექტორები: ანტონი გაუდი, გუსტავ ეიფელი, ლე კორბუზიე, ფრენკ ლოიდ რაიტი, ფრენკ გერი).
11. შორეული აღმოსავლეთის ხელოვნება	
ა. ძველი ინდოეთის ხელოვნება	სტუპები, დრავიდული არქიტექტურის ნიმუშები, მოგოლთა მმართველობის პერიოდის ხელოვნება – ტაჯ-მაჰალის არქიტექტურული კომპლექსი; ინდური მინიატურა.
ბ. ძველი ჩინეთის ხელოვნება	არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნება (პაგოდები, ჩინეთის კედელი; ტერაკოტას არმია, ბუდას ქანდაკებები; კერამიკა, აბრეშუმში, მინიატურა).
გ. იაპონიის ხელოვნება	არქიტექტურა, ქანდაკება, მხატვრობა და გამოყენებითი ხელოვნება (პაგოდები, იმპერატორის სასახლე კიოტოში, ბუდას ქანდაკებები; მხატვრობა კერამიკაზე, აბრეშუმზე, ანაბეჭდები (კაცუშიკა ჰოკუსაი და ანდო ჰიროშიგეს შემოქმედება).
12. ისლამური ხელოვნება	სპარსული და არაბული არქიტექტურა, ხალიჩები, კერამიკული ფილები - შორენკეცები, მინიატურა, ყაჯარული მხატვრობა, კალიგრაფიის ნიმუშები.

2. შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარები	
ხელოვნების პრინციპებისა და ელემენტების გამოყენება ნამუშევრის შექმნისას	კომპოზიციური განაწილება, ცივი და თბილი, კონტრასტული ფერების, ფერთა გრადაციის გამოყენება, სხვადასხვა მხატვრული ხერხის (შუქ-ჩრდილი, შტრიხი, ლაქა, ბლიკი და ა.შ.) საშუალებით საგანთა მოცულობის გამოსახვა სხვადასხვა ტექნიკის, პროცედურის (ფერწერის, გრაფიკის, კოლაჟის, აპლიკაციის) გამოყენება, ექსპერიმენტის ჩატარება ნამუშევრის შექმნისას.

3. სწავლების მეთოდები	
1. მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა	მოკლევადიანი საგაკვეთილო მიზნების განსაზღვრა; დასახული მიზნების შესაბამისი სხვადასხვა ტიპისა და სირთულის მქონე დავალებების შერჩევა ან შედგენა ცოდნის ათვისების პირველი (წვდომა-გაგება), მეორე (გავარჯიშება), თუ მესამე (დაუფლების) ფაზისათვის. გრძელვადიანი მიზნის განსაზღვრა; ამ მიზნის განხორციელებისათვის საჭირო უნარების (პრაქტიკული, საინტერპრეტაციო, ანალიზის, კვლევის, საპრეზენტაციო, კომუნიკაციური და სხვ.) დადგენა-განვითარება; იმ აქტივობების დაგეგმვა, რომლებიც აუცილებელია მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად; სწავლების ორგანიზების სათანადო ფორმების შერჩევა: ჯგუფური, წყვილური, ინდივიდუალური, მთელი კლასის მონაწილეობით მუშაობა; შეფასების მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრა.
2. მოსწავლეზე და შედეგზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესის წარმართვა	მოსწავლის ცოდნის განსაზღვრა; ისეთი სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის გააქტიურებას, საინტერესო ამოცანების დასმას, სხვადასხვა სახის აქტივობაში ჩაბმას, მისცემს თვითგამოხატვის, აზრის გამოთქმისა და მსჯელობის საშუალებას და სხვ.; მოსწავლეებისათვის ამოცანების, პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარ-ჩვევის განვითარება, მათი სათანადო სტრატეგიებით აღჭურვა: მიზნის განსაზღვრა, იდეების გენერაცია-დახარისხება, დაგეგმვა, მოდელეზზე დაკვირვება, სამუშაოს ორგანიზება, შედეგის გაუმჯობესება-გადამუშავება თვითშეფასების/თანაშეფასების გზით და სხვ.

3. შედეგზე და მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასებების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება	მიმდინარე და შემაჯამებელი, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით: მდგომარეობის შემოწმება ცოდნის ათვისების სამივე დონეზე (I. ოპერაციის წვდომა; II. ოპერაციის გავარჯიშება; III. ოპერაციის დაუფლება), კონკრეტული პრობლემების წარმომშობი მიზეზების გამოვლენა და სათანადო აქტივობების დაგეგმვა მათ აღმოსაფხვრელად; სასწავლო მიზნებისა და შეფასების სტრატეგიების ურთიერთშეთანხმება: სხვადასხვა ტიპის დავალებებისათვის მიზნების შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და ხერხების შერჩევა/შემუშავება, კომპლექსური დავალებების შესაფასებლად სათანადო კრიტერიუმების სქემების (რუბრიკების) შემუშავება; საკუთარი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება და თვითშეფასებისა და შეფასების მონაცემების გამოყენება მომავალი სასწავლო პროცესის დასაგეგმად.
--	--